



ՅԱԿՈՅԱ 4



6. ს. ხრამიშვილ კართველ გაცემაზონ

The image displays four stylized numbers from a medieval manuscript. From left to right: a large, bold '3' with a thick, dark, textured stroke; a smaller, more delicate '3' with a similar dark, textured stroke; a large, ornate '2' featuring a central circular hole and decorative loops; and a smaller, more compact '2' with a dark, textured stroke.

କେବଳ ଏହାରେ ପରିମାଣ କରିବାରେ ଯାଇଲୁ କାହାରେ କାହାରେ ନାହିଁ ।

*
1839

გემოლგომაზე მამა მოსკოვ-
ში მიავლინეს. ვთხოვე და
მეც თან წიძიყვანა.

რომ დაგბრუნდით, კველა მოსკოვის ამბებს მეცითხებოდა. მეც კუამბობდი წითელ მოედანზე, ლენინის მავზოლეუმზე, სპასკის კოშკის დიდ ვარსკვლავზე, მეტროზე და მთისონენა უნივერსიტეტზე... მამამ მითხრა, თუ კარგად ისწავლი, უკველად აქ გამოგაგზავნი და ოცდამეტუთე სართულზე ისწავლით.

ମେତ୍ରେଲୀ ସାରମିନ ମହିକୁଣ୍ଡଳ ଅଧିକାରୀ
ମହିକୁଣ୍ଡଳ ଅଧିକାରୀ ଏହାରେ ଉପରେ
ଯେତେବେଳେ ମହିକୁଣ୍ଡଳ ଅଧିକାରୀ
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

მეორე დღეს, არცა კლასში შევეღი-
დი, ყველა ჩამაცივდა:—მოყევი, მო-
ყევიო. მე მეტაზე ჩამოვჭიქი და
მასწავლებელს დაველოდე. ჩვენ ძა-
ლიან ჭარგი მასწავლებელი გვყავს
და მინდოდა, ჩემი მონაყოლი შასაც
მოესმინა.

ଶୁଣି ଡାଇର୍କ୍ୟୁ... ଶେମନ୍ତିକିଠା ମହାଶ୍ରାଵ-
ଲ୍ୟେବେଳୀ. ଅମ୍ବାଜିତବା ସିଂହ, ମେହିର୍
ମେ ଶେମନ୍ତିକିଠା ଲା ମିଠକରା:—ଆହା, ଗଲ-
ଭୁଖା, ଗାଘରିଛାଏହି ଶେନ୍ଦ୍ର ଶତାବ୍ଦୀରେତ୍ତିଲ୍ୟ-
ଲ୍ୟେବେଳୀ, ରା ମନିନାଥ୍ୟୁଲ୍ଲା ମନ୍ଦିରମିଳିଲ.
ମେ ଏହାଙ୍କୁରି ମିଠକାମିଳି, ଗାଘରିଶେନ୍ଦ୍ର ହିମି
ହିନ୍ତାବ. ଅମ୍ବାଜିଠା ଉତ୍ସବିର୍ଷାବଳୀପାଇଁ ଗାନ୍ଧୀ-
ଶୈଳୀ ଫିଟାଇଲୀ ପାଇଲି ଲା ଅମବାନା-
ଶୈଳୀ ପାଇଲି ପାଇଲି. ମାତ ପାଇଲାକୁରି ଗାନ୍ଧୀଶ
ଲା ଗାନ୍ଧୀଶବ୍ଦିଲିନ୍ଦ୍ର ମାଧୁରିଧିନିନ୍ଦ୍ର.

— ეს ვაშლი ვლადიმერ ილიას ძე
ლენინს ბალიგანაა! — ვთქვი მე-
კველი შემომეხვივნენ — უნდო-
დათ ვაშლის ისტვის ხელი მოეკიდათ,
მაგრამ მე არავინ მივაყიდუ.

როცა მოსწავლეები ისევ თავიანთ
დღილებზე დასხელნენ, მასწავლე-
ბელმა მკითხა: ვინ მოგვა ეს ვაშ-
ლიო.

და მეც მოვყევი:

...ერთხელ, სალამოს, მოსკოვში ყოფნისას, მამამ მითხრა:

— ხვალ დილით გორგაში გავემგზავრებით.

მთელი ღამე არ მძინებია, გათენებას ველოდი. მეშინოდა წვიმა არ წამოსულიყო ან მამას არ გადაეფიქტებინა წასკლა. მაგრამ ყველაფერი კეთილად დასრულდა. ჩვენ დიდ ავტობუსში ჩავსხედით და გავემგზავრეთ.

ვიღაც შავქოსტუმიანი კაცი მოგ-
ვიახლოვდა, მოგვესალმა, კარი გაგ-
ვიოო და მიგვიპატია.

— ვინ არის? — ვკითხე მამას

— ჩუმად, — ეს ექსკურსიამდოლია. აქ მოსულთ ლენინის ცხოვრებაზე უყვიბა, — მითხრა მამა.

— ამხანაგებო, ჩაიცვით ფეხსაც-
მელები, — თქვა ექსკურსიამდღოლ-
მა და მიგვიყენა დიდ კალათთან,
რომელშიაც უაძრავი ფლოსტი ეყა-
რა. მამამ ჩემთვის ყველაზე პატარა
აარჩია.

—რისთვისაა ეს? — ვკითხე მამას.
ექსკურსიამდოლმა ღიმილით ამი-
სნა:

— იატაკი რომ არ გაფუჭდეს და
სახლში მტვერი არ შეიტანოთ.
აქ მრავალი ათასი ადამიანი ჩამო-
დის მსოფლიოს ყველა მხრიდან.

დავათვალიერეთ მთელი სახლი:
ლენინის კაბინეტი, ბიბლიოთეკა;
სასაღილო ოთახში, მაგიდაზე,
ზუსტად ისეთი სუფრა დავინახე,
როგორიც ბებიაჩემს აქვს. აქვე იდ-
გა დიდი ჩაიდანი და თეთრი ფინგ-
ნები. ძლიერს შევიკავე თავი, რომ ხე-
ლით არ შევხებოდი სუთრას.

დავდობილით ოთახებში და სულ
იმაზე ვფიქრობდი, რომ ოდესალაც,
აქ ასევე დატოილა ლენინი. ვნახე
სკამები, რომლებზედაც ჭდებოდა



ილიჩი, წიგნები, რომლებიც მას ეჭირა, დიდი ტელეფონი, რომლითაც ლენინი მოსკოვში რეკავდა. მინდობა, ერთხელ მაინც შეეხებოდი ამ ნივთებს, მაგრამ არ შეიძლებოდა! აქ მრავალი ათასი ადამიანი ჩამოდის და ყველამ რომ ხელი შეახოს, ხომ გაფუჭდება! ეს ნივთები დიდი ხნის შემდეგაც უნდა ნახონ ადამიანებმა.

შემდეგ პატარა ოთახში შევეღით. ყველანი გაჩუმდნენ; ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ყურებმა წივილი დამიწუს.

ექსკურსიამძლოლი მიუახლოვდა საწოლს, რომელზედაც თეთრი საბანი იყო გადაფარებული, გასწორა ბალიში და ნაღვლიახვდ თქვ:

— ამ საწოლზე, ამხანაგებო, 1924 წლის 21 იანვარს, ღამით, გარდაიცვალა დიდი ილიჩი.

ყველანი დამწუხხებული იდგნენ. კიდევ ერთხელ შევხედე თეთრ საწოლს და თვალებზე ცრემლი მომადგა.

ექსკურსიამძლოლმა თავზე ხელი გადამისვა.

შემდეგ ბალში გავეღით, სადაც ბევრი ყვავილი და წითელი ფოთლები იყო. ზოგიერთი ხე კი უკვე სულ გატიტვლებულიყო.

ვნახეთ ის სკამი, რომელზედაც ვლადიმერ ილიას ქეს უყვარდა ჭდობა, პატარა მოედანი, სადაც ლენინი სოფლის ბავშვებთან ერთად თამაშობდა ხოლმე. უცებ, შეენიშნე უზარმაზარი, წითელ ვაშლები.

აქ ვაშლის ხეების მთელი ბალი იყო.

ექსკურსიამძლოლმა აგვისტია:

— ვლადიმერ ილიას ქე ამ ბალის ვაშლებს მხოლოდ ბავშვებისათვის კრეფდა და მათ ურიგებდა.

თურმე მაშინ შიმშილობა იყო და, ლენინს უნდოდა, პირველ რიგში ყველაფერი ბავშვებისათვის მიეცათ.

ღიღხანს ვუყურებდი წითელ ვაშლებს და მშურდა მი ბავშვების ბედი, რომლებმაც თვითონ ნახეს ლენინი.

უცებ, ექსკურსიამძლოლმა მითხრა:

— ბიჭუნა, წადი, მოწყვიტე შენთვის ვაშლი.

მე რატომლაც შემეშინდა, განა შეიძლება აქ რაიმეს ხელი ახლო? და მამის ზურგს ამოვეფარე.

ნახატი
რევაზ ცუცქილიძისა

Կոպի գաղաքանութեան

3. ი. ლეიხი.

ლინგრავიურა ი. მანონისა



კაბუკის დრამატურგი

ეს 1891 წელს მოხდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში გამოცდები მიმღინარეობდა. მაუდგადაფარებულ ღირ მა-

გიდას მკაცრი გამომეტყველების პროფესორები უსხრენ და მათ წინ მდგომ ჭაბუქს უსმენდნენ. ჭაბუქი გამოცდას ექსტერნად აბარებდა. არც

ერთი გამომცდელი არ იცნობდა ამ სტუდენტს, არასოდეს არ ენახათ იგი ღექციებზე და, ბუნებრივია, ცრილობდნენ, რაც შეიძლება რთული კითხვები დაესვათ მისთვის.

იგი თამამად პასუხობდა დასმულ კითხებზე, ყოველ მის პასუხში ცოცხადი აზრი და ღირი ერუდიცია იგრძნობოდა. პროფესორები სულ უფრო მეტი სიმპათიით იმსჭვალებოდნენ მისაღმი.

ჭაბუქმა უნივერსიტეტის დამთავრების ღიპრომი მიიღო; მიიღო იმ უნივერსიტეტის ღიპრომი, სადაც არასოდეს არ უსწავდია.

ეს ახალგაზრდა—ვრადიმერ იღიას ჟე ღენინი იყო.

თავის მოგონებებში ღენინის და, ანა იღიას ასული, იხსენებს, როგორ ემზადებოდა ღენინი გამოცდებისათვის: «ხეივანში მან მოგრძო სკამი გააკეთა და თითქმის მთედ დღეებს იქ ატარებდა. ყოველ ღიღით, ჩაის შემღებ, წიგნებით დატვირთული ვაღოდია თავის ხეივანში მი-

ლენინი და ჭავარი

დიოდა. იქ, სრუდ მარტობაში, წიგნებს კითხულობდა.

შემდეგ ცოტას ისეირნებდა, იბანავებდა და კვდავ წიგნებს ჩაუჯდებოდა».

ვაღოდია თავის თავისადმი ძაღლები მომთხოვნი იყო. მას არ უყვარდა აჩქარებით რაიმეს გაკეთება. ასე მაგალითად: გიმნაზიაში, დასაწერ ღიტერატურულ თემას ორი კვირით აღრე აცნობდნენ ხოლმე მოსწავლებს, მაგრამ, მიუხედავად ასეთი ღიდი ვაღისა, გიმნაზიერები მხოლოდ უკანასკნედ დღეს ამზადებდნენ დავაღებას. ვაღოდია კი პირვერ დღესვე ჰკიდებდა ხედს საქმეს და ორი კვირის განმავლობაში გამუდმებით მუშაობდა თემაზე. გეგმას შეადგენდა, შემდეგ რვეულის მარცხენა გვერდებზე შავად დაწერდა მთედ თემას, მარჯვენა ფურცლებს კი ცარიელს ტოვებდა. ღროთა განმავლობაში რაიმე ახარი აზრი რომ მოუვიდოდა, იმ სუფთა ფურცელზე ჩაწერდა. მისი დაწერიდი თემები იმდენად საინტერესო იყო, რომ მასწავლებელი მუდამ ხუთს პრუსით უწერდა და ხმამაღლა უკითხავდა გდასს.

ვაღოდია არასძროს არ ენდობოდა მარტო ნიჭის, იგი ძაღლები ბევრს მეცადინეობდა, განსაკუთრებით კი — გამოცემის ღროს.

ვალოდია ულიანოვი 8-9 წლის იქნებოდა, როცა ჭადრაკის თამაშის წესებს გაეცნო და ათვისების გასაოცარი უნარი გამოიჩინა. პატარა ვალოდიას ცოდნის დაუოკებელი სურვილი ჰქონდა, იგი ცდილობდა ყველაფერში მიებაბა თავისი უფროსი ძმისათვის, ალექსანდრესათვის.

ალექსანდრე შესანიშნავად თამაშობდა ჭადრაკს და ვალოდიასაც მხოლოდ ძლიერ მოწინააღმდეგებთან უყვარდა თამაში. მას არ მოსწონდა მსუბუქი პარტიები და, როცა იოლად გაიმარჯვებდა, —სწყინდა კიდეც. ასეთ შემთხვევაში იცოდა ხოლმე თქმა: ეს — მე კი არ მოვიგე, — შენ წააგეო.

ვლადიმერ ილიას ძეს იზიდავდა დაძაბული ბრძოლა, ძნელი მდგომარეობიდან თავის დაღწევა, კომბინაციები. სწორედ ამიტომ არ უყვარდა შეთარებით სუსტ მეტოქებთან თამაში. მაგრამ თუ თამაშზე მაინც დაიყოლიებდნენ, ასეთ მეტოქეს, ძალების გათანაბრების მიზნით, წინასწარ რომელიმე ფიგურას შესთავაზებდა.

დიდი სიამოვნება განაცდევინა ვლადიმერ ილიას ძეს ჭადრაკში, როცა იგი სოფელ შუშენსკოეში იყო გადასახლებული.

არც საზღვარგარეთ, ემიგრაციაში ყოფნისას ივიწყება და ლენინი ჭადრაკს. ეს კარგად იცოდა დედამისმა დი სწორედ ამიტომ გადაუგზავნა მას პარიზში მამისეულ-ჭადრაკი. სამწუხაროდ, ჭადრაკის ეს კომბლექტი უგზოუკლოდ დაიკარგა პოლონეთში ლენინის ბინაზე პოლიციის თავდასხმის დროს.

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებში ლენინს არ ეცალა ჭადრაკისათვის; არც მშევიდობიანი მშენებლობის პერიოდში რჩებოდა დრო თამაშისათვის. მაგრამ მოსკოველმა მოჭადრაკებმა მაინც აირჩიეს იგი თავიანთი კლუბის საპატიო წევრად.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინს არაერთხელ უთქვამს, რომ «ჭადრაკი გონების სავარჯიშოა». იგი დიდ შეფასებას აძლევდა საჭადრაკო კომპოზიციას, უყვარდა ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნა, რადგან სწორედ აქაა საჭირო გამომგონებლობა, ფანტაზია, კომბინაციური გადაწყვეტის პოვნა...

ცნობილია, თუ რა დიდი ქებით მოიხსენია ვ. ი. ლენინმა ძმისადმი მიწერილ წერილში ძმები პლატოვების ეტიუდი. ამ ეტიუდის მაღალი შეფასება მეტყველებს ლენინის დიდ საჭადრაკო გემოვნებაზე.

თმაზის გიორგიაშვილი

ჯევოლეიშვილი



კავშირის დღი

სიმონ დოლიძე

გილიურეს. მორჩია — ანძაზე აგავებენ რევოლუციის მტრები. დღე და ღამე დგაბარ და იარაღებს ალაგებ ჩუმად, ფრთხილად ფეხაკრეფით გადი-გამოდისარ, თვალ-ყური კარისებნ გაქვს. სიმამაცე და გულადობა არ გაკლია, საქმის ერთგულება და გამარჯვების რწმენა ძალ-რბილში გაქვს გამჯდარი, მაგრამ რალაც უნილავი, პატარა შიში ისე დაგივლის ხოლმე სხეულში, თითქოს ჭიანჭველებმა დაგიარესო. ოდნავი ჩქარი და, შემართული ხარ, ძარღვები გეჟიმება, ფართო თვალებიდან ცუცხლი გცგივა, სუნთქვა საბერევლის ხმას ემსგავსება... უცებ გაგივლის შიში, — გამოერგვევი. შენს წინ ბოძია, ზეთში გათხვრილი ბოძი და სხვა არაფერი. დამშვიდდები და საქმეს განაგრძობ. იცი, რომელ სიგნალზე რა იღონო. შენ არალეგალური ლიტერატურის ჩამოტანა და გავრცელება თქვი! თბილისიდან თუ ბათუმიდან რამხელა გზაა ფოთამდე! ყოველ ნაბიჯზე ხიფათი გელის, რევოლუციის მტრებს არ სძინავთ. ვაი იმ გავლას, შენ რომ ამ გზას გაივლიდი ხოლმე, მაგრამ ბრძოლა — ბრძოლაა.

ავრცელებდი არალეგალურ, რევოლუციურ ლიტერატურას. უკითხავდი, აწავლიდი, შთააგობებდი მერყევ ადამიანებს, რომ ყველა რევოლუციური სულისკვეთებით ანთებულიყო, რომ ყველას ერთ მიზანში ესროლა, ერთგულად ესროლა, აზვირთებულიყო მასების ძალა და ბოლო მოღებოდა ჩაგრას.

გამჭრიახობითა და უანგარო სამსახურით სახელი გაიძევი, ნამდვილი მეტრძოლის სახელი. თვრამეტიონლე წლის სიმონ დოლიძეზე ხალხი ალაპარაკდა.

1905 წლის ნოემბერში ბათუმში ბარიკადები აღმართეს. დიდი ამბები დატრიალდა ქალაქში. ფოთში ვეღარ მოისვნენ, გულმა სისხლიანი ბარკაცდებისაკენ გაგიწია, მედგრად დადევი იქ დატყვიით იცავდი სალნის მიზანს. მაღვე ფოთს მაშველი გემი მოადგა. გემიდან საბრძოლო იარაღების გადმოტკირთვა იოლი საქმე არ იყო. დატყარი ფეხი და მშობლიურ ქალაქში გაჩნდი. ერთ ხანს აქ დაპყავი. არალეგალურ კრებებზე კამთობდა უსნიდა, ასწავლიდი, ათასნაირ გეგმებს ადგენდი. ყველასთვის შენ

უნდა მოგესმინა და გეპასუხნა, როგორც ხელმძღვანელსა და ინციციატორს. ყველ წევთ თავდასხმა და აწიოკება იყო მოსალოდნელი. არ უშინდებოდი არც მუქარას, არც საფრთხეს. თანდათან გავრცელდა შენი რევოლუციური მოღვაწეობის ამბავი, გაიგეს შენი ასაგალ-დასავალი, მოგანეს და დაგაპატიმრეს.

— თქვი! — გაშინებდნენ; — თქვი! — გემშერებდნენ; — თქვი! — იარაღს გიღერდნენ, მაგრამ შენ დუმდი, როგორც სამარე და მწარედ გედიმებოლა. დიდი წვალებით და დავიდარაბით მაღლებადწივ პატიმრობას თავი. რევოლუციის დიდი საქმე გიშმობდა ფოთელ ბიძეს. ამ დღოს მთელ ქვეყანას მოედო ლენინს მუშაობით დახვრცეტის ამბავი, ალექსანდრენ მუშები, შფოთავდნენ გლეხები. ბათუმში მუშაობით დიდი კრება გაიმართა, შენ იდევი ტრიბუნზე და მეზნებარედ ყვებოდი ლენინს ამბავს. შენს კავალს მოაგნეს აკაზაკებმა. კალა დილეგი გელოდა, კვლავ წამება გემუქრებოლა, მაგრამ, ნურას უკაცრავად: გზაში გაუსალტი ბინძურ ხელს და პეტერბურგისაკენ აიღ გეზი. შეურიგდი რევოლუციონერის ბეჭედს: ბათუმში ტყვას გიშენდნენ, ფოთში გაპატიმრებდნენ, პეტერბურგში სისხლიან ბარიკადებზე იდევი, ბაქეთში არალეგალურ კრებებზე ჩურჩულებდი, ქუთასში უანდარმები დაგდევდნენ და ასე იღებოდა შენი ახალგაზრდობა, ასე გეპარებოდა სიბერე, მაგრამ დიდი მომავლის იმედით ცოცხლობდი და იბრძოდი.

...პეტერბურგში ძმასავით მიგიღეს რუსმა რევოლუციურებმა, — „მართალი ყოფილა: „გულ გული იცნობსო“, სიხარულით თქვი შენ. ალბათ კარგად გახსოვს კალოშების ფაბრიკა, გასხოვს შენი კარგი ძმაკაცი — ტანმორჩილი, მხიარული ხარატი ლულინი. ალბათ ისიც გახსოვს — მისი სიკვდილი რომ გაიგე და ცრემლები წაგსედა. ამდენი წვალება გენახა, ამდენი ტანჯვა გაგეცადა და ჯერ თვალზე ცრემლი არ გაგარებოდა, მაგრამ!..

პეტერბურგში ხმა დაირსა — „მეფე დააპატიმრესო“. ფაბრიკის მუშები

ას შემდეგ კაი ხანი გავიდა, ბევრმა ჭყალმა ჩაიარა... ახლა ტკბილად, უდარდელად ტკორობ შენს მყუდრო იჯახში და მოგონებებს ედიარ აუდიობარ.

რომ იტყვიან, წისქვილის ქვა არ დარწუნებულა შენს თავზე, თორემ სხვა რა არ გადაგხდენია. დევნა, ცხე, შიმშილი, ცემა, დამცირება, სიკვდილით მუქარა — რა არ გადაიტანე; გულს მაინც არ იტეხდი, გწამდა და იბრძოდი, გეროდა და თავს არ ზოგავდო.

დიდმა იმედმა და რწმენამ გიბიძება რევოლუციური მოძრაობისაკენ. გესმოდა გლეხის გულისთქმა, ხეღავდი მუშის გასაჭიროს.

შენ თვითონ დარწმუნდი, რომ იარაღის გარდა ვერაფერი ისხსიდა მუშას და გლეხს, რომ თავისუფლებისათვის სისხლი უნდა გაგლოო, მილიონებთან ერთად, ათასების გვერდით მტკიცედ აღმართე მკლავი მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

...პატიოსანი და მშრომელი იჯახში ჰქონდა მამაშენს. ენ არ იცნობდა ფოთში ერემია დოლიძეს. გაუჭირდა წვრილ-შვილიან იჯახს. თავს ზევით ძალა არ ჰქონდა მამას — სამოქალაქო სასწავლებლის მესამე კურსიდან გამოგიყვანა და სახელოსნო სასწავლებელში მიგაბარა.

მაშინ ჩივიდეტი წლის ჭაბუკი იყვავ. მხნე, ამაყი, შეუდრევები და პარდაპირი. იცევთა თუ არ 1905 წლის რევოლუციამ, უყოყმანოდ აიღე იარაღი ხელში და მებრძოლო რაზმში ჩადევი ქოჩორა ბიჭი. დაგევალა საბრძოლო იარაღების შენახვა და მოვლა, არალეგალური ლიტერატურის ჩამოტანა თბილისიდან, ბათუმიდან და მისი გავრცელება ფოთში.

...ბნელი, აშმორებული სარდაფი... ძილი შენთვის არა და მოსვენება, თვალი წარამარა კარებისაკენ გაგირბის, შენი სიცოცხლე ბეჭედი ბეჭედია, თუ მო-

ქუჩაში გამოცვილით. დაგაყარეს ტყვიები. რას იზამდით, კალოშებს ხომ ვერ ქსროდით? ბევრმა თაქს უშველა, ბევრი უსულოდ დაეცა. ახლაც დაღივით გაზის შუბლზე იქაური ტყვიის ნიშანი. ვიღაც მადლიანმა გიშველა და მოგასულიერა, თორებ ბეწვზე ეკიდა შენი სიცოცხლე. გახვრეტილი შუბლით წამოხვედი პეტერბურგიდან და ბაქოს მიაშურე. აქ ნავთის ქარხანას შეაფარე თავი. წუთი რაა, წუთითაც არ ივიწყებდი რევოლუციის საქმეს. მაინც რა ძალა გმონდა, რა სული გედგა, რომ ვერაფერმა გაგტესა. დიდმა მიზანმა აგიტანა, დიდმა რწმენამ აგიტაცა და სახალხო საქმისა-თვეს წირავდი ყველაფერს.

ბაქოში ერთ პატარა, სოროსავით ოთახში დაბინავდი. ამ პატარა სოროში ახერხებდი დიდი საქმის გაკეთებას. საღამოობით გაჭედილი იყო შენი ითა-ხი. კვლავ არალეგალური კრებები და რევოლუციური ლიტერატურის კითხეა. ხალხს აწრთობდი, ამზადებდი, მოუწოდებდი და შთააგონებდი.

...მაღლე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უამშა დარეკა. აზვი-რთდა თავისუფლებისათვის ბრძოლის, მონბიძისაგან თავდახსნის სულისკეთება. დაიძრა ხალხი. შენ, როგორც რევოლუციის მტკიცე ჯარისკაცი, მუდამ წინა ხაზზე იღებე. გამოგიახეს რევოლუციურ შტაბში და პირდაპირ გითხრეს: სიმონ დოლიძე უშელმძღვანელებს რეინიგზის ხაზზე ბაქოდან პროხლადნაიამდე პოლი-ციელებისა და სამხედროების განიარაღებას. დაიძრა შენი რაზმი. ათეული წლების მანძილზე იბრძოდი და სირც-ხვილი არ გიჭამია, შენი სიტყვა და საქ-მე ერთი იყო და, ახლა, ამ დიდი ბრძო-ლების დაგვირგვინების უამს მართლაც რომ ზღაპრული სიმამაცე გმართებდა. ყველაფერი აწონ-დაწონე, გაიანგარიშე და შეუტიეთ. სისხლის ფასად დაუჯდა შენს რაზმი ამ ამოცანის შესრულება, მაგრამ პირნათლად შეასრულა. დავა-ლებებს დავალებებს მოსდევდა, ბრძო-ლებს ბრძოლები და შენ ყველოვის მოწოდების სიმაღლეზე იდექი. ხალხმა ამა-გი დაგიფასა — ბაქოს მუშათა და ჯარი-სკაცთა დეპუტატების საბჭოს პირველი მოწვევის წევრად აგირჩიეს. შენთვის ეს წელი ორნაირადაა დიადი თარიღი. ჯერ ერთი, რაც მთავარია, დიდი რევოლუ-

ციური მიზნების აღსრულებას მოესწა-რი და, მეორეც, ბოლშევიკური პარტიის რიგებში მიგიღეს.

...არ ისვენებდნენ ბტრები, გააუთრე-ბით ებრძოდნენ იქტომბრის პირველ მძლავრ ნაბიჯებს, მაგრამ ამაოდ რე-ვოლუციის ავანგარდი რაზმი ფეიზლად იდგა სადარჯოზე. ამ რაზმის ერთ-ერთი წევრი შენც იყავი. მენშევიკებმა თვალში ამიგიღეს, გდიღეს და დაგაპა-ტიმრეს. თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ციხიდან ციხეში გატარებდნენ, მაინც ვერ გაგტებეს. ბათუმის ციხეში ჯანმრ-თელობამ გიღალატა, მაგრამ სულით არ დაცული სესხი, წითელი წიგნი — „რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში“. ეს საპატიო წიგნია, გამოჩენილი ქართველი რევოლუციონე-რების ნამდგილი მატიანე შენც აქ ხარ, რჩეულთა შორის. მიჯრით მისდევენ თა-რიღები ერთმანეთს და შენს დიდ რევო-ლუციურ წარსულს დაღადებენ.

— დილით უგუნებოდ გაეხდი, პირი გამიშარა, ენა ხახუჟ დამეწება, ტანში შემახურა, კანკალმა ამიტანა, კბილებს კბილებზე გაჭერდი გამწარებული, მაგ-რამ ყბებს ვერ ვიმაგრებდი; ავარდა სი-ცხე და ალმურივით მომედო, — ასე იგონებ შენ იმ მწარე დღეს.

პატიმრობიდან რომ განთავისუფლდი, დღის წესრიგში იდგა კონტრებელუ-ციონერების განადგურება. დავალებებს დავალებები მოსდევდა, ბრძოლებს — ბრძოლები.

— კვლავ ბეწვზე გადარჩი სიკვდილს, — მენშევიკებმა ცხენებით გადაგთელეს, ცხენის ფლოქებებით დათეთქვილი ბეჭე-ბი თონესავით გისურდა, ხელები მოჭრი-ლი ტოტებივით გეპიდა, მუხლმოკვეთი-

ლი გადე და სისხლი გდიოდა, გადარჩი კვლავ ბეწვზე გადარჩი.


...მოესწარი ბედნიერ დღეს — საბ-ჭოთა ხელისუფლებაშ გამარჯვა. აქ არ დამთავრებულა შენი ბობოქარი ცხოვ-რება. მერეც ბევრი რამ გააქეთო. სადაც პარტია და მთავრობა გიხმობდა, მუდამ იქ იბრძოდი. ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდი სახალხო საქმეს.

დაგიფასდა დიდი ამაგი. უყურებ მთავ-რობის ჯილდოებს, საპატიო სიგელებს და გული ხალისით გევსება. მაგიდაზე გიდევს სქელი, წითელყდიანი წიგნი — „რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში“. ეს საპატიო წიგნია, გამოჩენილი ქართველი რევოლუციონე-რების ნამდგილი მატიანე შენც აქ ხარ, რჩეულთა შორის. მიჯრით მისდევენ თა-რიღები ერთმანეთს და შენს დიდ რევო-ლუციურ წარსულს დაღადებენ.

ეს წიგნი უძირფასესი განძია შენთ-ვის. ათრთოლებულ ხელს გააპარებ, გა-დაფურცლავ, ერთ ხანს ჯიუტად ჩაპერი-ტოტებ სტრიქონებს, მერე თვალებს ხუ-ჭიგ, და წარსულში გადაეშვები...

...ახლა, ხალხის უანგარო სამსახურ-ში გათეთრებული, მშეიდად ცხოვრობ შენს ტკბილ ოჯახში.

ფილიკე ბერიძე



რამდენი რამ აქვს მოსაგონებელი ძველ რევოლუციონერს. პატარები სულ-განაბული უსმენენ ბაბუა სიმონს.

ქ ა ლ თ ა

ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ტ

დ ე მ ი კ რ ა ტ ი უ ლ ი

ფ ე დ ე რ ა ც ი ა

1945 წლის პირველ დეკემბრის პარიზში — ქალთა საერთაშორისო პირველ კონგრესზე შეიქმნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია. (М.Д.-Ф.Ж. Международная демократическая федерация женщин). ეს ფედერაცია თავის რიგებში აერთიანებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ქალთა ანტიფაშისტურ დემოკრატიულ ორგანიზაციებს.

ფედერაციის შექმნისას მის შემადგენლობაში 39 ქვეყნის ქალთა ნაციონალური ორგანიზაცია შევიდა. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გავლენის გაძლიერებასთან ერთად იზრდებოდა ფედერაციის წევრთა რიცხვიც. მის შემადგენლობაში შევიდნენ ინდოეთის, ბირმის, ტაილანდის, ირანის, იაპონიის, სირიის, ლიბანის, ტუნისის, ნიგერიის, ჩილის, ვენესუელისა და სხვა ქვეყნების ახლად ჩამოყალიბებული ქალთა ორგანიზაციები. საბჭოთა ქალები ფედერაციის შემადგენლობაში საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტით არიან წარმოდგენილნი.


ფედერაციის უმაღლეს ორგანისო წარმოადგენს ქალთა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც ფედერაციის შემაგალ ქალთა ორგანიზაციების დელეგაციებისაგან შედგება. ქალთა ნაციონალურ ორგანიზაციებს, კონგრესიდან კონგრესამდე ხელმძღვანელობს საბჭო, რომლის შემადგენ-

ლობას კონგრესზე ირჩევენ. საბჭოში, ყველა ნაციონალური ორგანიზაციის წარმომადგენლები შედიან. თავის მხრივ, საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს და ვიცე-თავმჯდომარეს, რომელთაც კონგრესი ამტკიცებს. ფედერაციის საბჭოს ხელმძღვანელ ორგანოს, სესიიდან სესიამდე, წარმოადგენს აღმასრულებელი კომიტეტი და ბიურო. ისინი თვალყურს ადევნებენ კონგრესისა და საბჭოს მიერ მიღებულ გადაშევეტილებათა შესრულებას. ფედერაციის ადმინისტრაციული ორგანოსა სამდივნო, რომლის შემადგენლობაში შედის გენერალური მდივანი და რეა მდივანი. მდივნებს აღმასრულებელი კომიტეტის წევრთაგან ირჩევს საბჭო.

პირველ საერთაშორისო ქალთა კონგრესზე ფედერაციის მდივანად არჩეული იქნა ცნობილი ფრანგი საზოგადო მოღვაწე, ხალხთა შორის მშვიდობის დაცვის საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი ექენი კოტონი, ხოლო გენერალურ მდივან — პიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური წევრი, ფრანგი ქალი—მარი კლოდ ვაინ-კუტურე.

1951 წლის იანვრამდე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კომიტეტი მუშაობდა პარიზში, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ ამერიკის იმპერიალისტთა საამებლად, აკრძალა ფედერაციის კომიტეტის მოღვაწობა საფრანგეთში და კომიტეტი იძულებული გახდა დაეტოვებინა პარიზი. კომიტეტის ადგილსამყოფელი ამჟამად ბერლინია.

ქალთა საერთაშორისი დემოკრატიული ფედერაცია უშევებს ყოველთვიურ უურნალს „ენტჩინი მირა“. ფედერაციის ოფიციალურ ენებად მიღებულია: ფრანგული, ინგლისური, რუსული, ესპანური, ჩინური და გერმანული.



კ ა ლ თ ა

წყალი, წყალი!

უნაყოფო, ვეებერთელა სივრცე ეგდო ორხევიდან გარეჯამდე... მოვიდა ადამიანი, დაპკრა წერაქევი და ხმლის ნამსხვრევები ამოცუივდა მიწიდან. მიწა არ იყო მწირი, მაგრამ... წყალი იყო საჭირო, წყალი!

— იორი! — გაიფიქრა ადამიანმა, მაგრამ მარტოკა რას გახდებოდა. მოვიდა მეორე, მესამე, მეოთხე... მეათე... მეასე... აგუგუნდნენ ბულდოზერები, ექსკავატორები, თვითმცლელი მანქანები...

ივრის წყალი სამგორის ველშე მიუშვეს.

გადატრუსულმა მინდორმა ფერი გადაიწმინდა.

ადამიანს სახლი ხომ უნდოდა. — აიშენა ქვიტკირის სახლი. მიწა გადააბრუნა და ვაზი ჩაყარა. ვაზი მკლავის-სიგრძე მტევნებით დაიხუნდღა. დაწურა ადამიანმა ყურძნი და ღვინით თიხის ჯამი აავსო. მარტოკა ვერც ნადიმს გასწევდა, — გადასძასა შეზობელს და გულიანად დალოცეს გაცოცხლებული მიწა. გაჩნდა სოფელი. აიშენეს კლუბი და მაღაზია... სოფლის შუაგულში წამოჭიმეს სკოლა. ცეროდენები მერხებს მისწდნენ.

შემოვიდა მასწავლებელი ხუთიანი... დაწურა პირველი ხუთში ერთი ბუჩქიც კი არ იყო. წითელწყველსახვევიანნა გოგო-ბიჭებმა ეზო დაბარეს, ორმოები ამოიღეს, ჩაყარეს აკაციები, ალვები, ნაძვები... გააშენეს ყველინარი.

სკოლაში ფოსტალიონი მოვიდა, — უურნალები და გაზეთები მოიტანა. მერე, ფოსტალიონი ყოველდღე მოდიოდა...

შეიქმნა პიონერული რგოლები და რაზმები. რაზმებმა ერთმანეთი შეჯიბრში გამოიწვიეს. გავა ორიოდე თვე და... ყველაზე მოწინავე რაზმი გამარჯვებას იზეიმებს.



წყალი

ცელი მიუსწრეს

სკოლის ეზოში საბარგო მანქანა ზორაბრახდა, რამდენიმე წუთში ძარა ბაქტერიებით აივსო. მანქანამ ჩახველა, შეტორტმანდა და თემშარაზე მტკვერი დააყენა.

უჯარმიდან დიდი, წითელი მზე ამოდიოდა. ცაჟე ღრუბლის ნაგლეჯიც კი არ ეგდო.

ბანქანამ თემშარიდან გადაუხვია და გეზი ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის-კენ აიღო. უცებ, ბავშვებმა ურიამული ატენებს. მძღოლმა მანქანა დამუშრუებს და გაბინიდან თავი გამოყო:

— რა მოხდა, რა გაყენირებთ!

რამდენიმე ბიჭმა მანქანიდან ისკუპა და არს მიაშურა. მძღოლმა იფიქრა, ალბათ ვინმე იხჩიობაო, თოკს დავლო ხელი და თვითონაც არხისკენ გაიქცა.

ართან, გამწარებული მენახირე დარბოდა და ქვებს უშენდა წყალში შესულ ნახირს.

ბავშვები რომ დაინახა, მენახირეს გული მოეცა.

— უცბად შეცვივდნენ წყალში. ხომ იცით, როგორ იციან ერთმანეთზე მიყოლა. წყალიც უცებ ადიდდა, ვეღარაფერი გავწყე. მიშველეთ რამე! — შეეხვეწა ყმაწვილებს მენახირე.

ძროხებს წყლიდან დრუნჩი ამოეყოთ და საკოდავად ზმუოდნენ. კამეჩები ამა-ოდ ცდილობდნენ გლევ ცემენტზე ფეხის მოყიდვებას.

ფიქრის დრო ადარ იყო. ლერი ნანობაშვილმა ტანსაცელი გაიძრო და წყალში გადაეშვა. მძღოლმა თოკი ოსტატურად წამოსდო ერთ ძროხას რქებზე. ლერიმ თოკი რქებს ჩაუვანდა და პირუტყვს უმიტება. მძღოლს სხვებიც წა-მოეშველნენ და ტანმორჩილი ძროხა ნაპირზე აათრიეს. საქონელმა გადარჩენილი ძროხისკენ იბრუნა პირი.

კარგა ხანს დაჰყვეს სამგორელმა მოსწავლეებმა ცივ წყალში და ნახირი მთლიანად გადაარჩინეს. გახარჯებული მწყემსი სიცივისაგან გაღურჯებულ ბიჭებს ეხვეოდა.

თერთმეტი ძროხა და ოცდახუთი კა-მეჩი მზეს ეფიცენტოდა...

— სულზე არ მოუსწარით, ბიჭე-ბო?! — თქვა ნიკოლოზ მაგნევმა.

— მაშ, მაშ, — კვერი დაუკრეს დანარჩენებმა.

ბანქანამ ისევ ჩახველა, ისევ შეტორტმანდა და გზა განაგრძო.

მენახირე კი... მეათედ ითვლიდა გა-დარჩენილ საქონელს, რომელსაც უკვე ქრიჭა გახსნოდა და არხეინად ძოვდა ბალახს.

* * *

იმ დღეს გოგო-ბიჭები ხალისიანად შრომობდნენ ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის სიმინდის ყანაში. ისმოდა მხიარული შეძახილები; მეხვავები ვე-ლარ აუდიოდნენ მტესავებს. ლალი ჩაჩა-ნიძემ, ლიანა აფციაურმა, ლერი ნანობაშვილმა, პავლე სპიროვმა და სხვებ-მა ას ცენტრერზე შეტი სიმინდი მოტე-ხეს...

და განა მარტო იმ დღეს, — კიდევ რამდენიმე დღეს ეხმარებოდნენ სამ-გორელი პიონერები ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მუშებს სიმინდის ტეხა-ში...

— ასე არ შეიძლება, — დაზგასთან ხუმრობა როგორ იქნება! — უსაყვედურა მასწავლებელმა ბიჭუნას. ნორჩი ზუ-ინკალი გაიბუტა, განზე გადგა და ჩუ-მად დაუწყო თვალ-თვალი თანაკლასე-ლებს.

— გასაბურღი დეტალი ზუსტად უსწორე ბურღს, თორემ თითებს წაგაწყვეტს, — დაარიგა გაბუტული ბიჭი მასწავლებელმა და მეორე ბიჭუნას მიუბრუნდა:

— ყოჩაღ, ავთანდილ! შენგან მართლაც გარგი ზეინკალი გამოვა! — და ავთანდილის მიერ გამოჩარხული ჩაქუჩი კიდევ ერთხელ შეამოწმა.

* * *

სცრიდა. სერგებზე ნაცრისიფერი ჯანი ჩამოწოლილიყო. ცივი ქარი პეროდ. თემშარაზე ორი ბიჭუნა აჩქარებით მიაბიჯებდა. ბოძებზე ნათურები ყვითლად ციმციმებდნენ.

— თემურ, იცი, დღეს მე რობერტ მასწავლებელმა სახარატო დაზგაზე მამუშვა და რაღაც-რაღაცებები გამოვჩარხე.

თემურმა გაკვირვებით შეხედა მეგობარს და თავი პალტოს საყელოში ჩამალა.

— მაინც, რა გააკეთე?

ავთანდილმა ჯიბიდან ჩაქუჩი ამოი-



სურათებზე:

1. ავთანდილ ბურტური-ვეილი აკეთებს სამგორის ელსადჭურის მოდელს.

2. თემურ ჭანტურია ისე კარგად დაეუცდა დურგლობის, რომ უკვი იმ-ლად ამზადებს ავეჯს.

3. ლალი ჩაჩანიძე, ლიანა კოტრიკაძე და თამარ ბდეურიანა აჩქევნ მასა-ლებს კედლის გაზეთისათ-ვის.



ღო და თემურს გაუწოდა. თემურმა ოსტატის თვალით გასინჯა მეობრის ნაშენებარი და მოწონების ნიშანდ მხარზე ხელი დაკვრა:

— მართლა შენ გააკეთე?

— დედას გეფიცები, მე გამოვჩრნხე; და განა მარტო ეს, — აი, ნახე, ესენიც...

ავთანდილმა რიგრიგობით ამოიღო ჯიბიდან შეეულები, საკიდრები და სხვა-დასხვა ზომის ფარგლები.

— ჩვენს კლასში ბევრმა ისწავლა ღითონზე მუშაობა. ბიჭებმა გადაწყვი-ტეს, ზეინკლები გახდნენ.

— შენ? შენც გადაწყვიტე?

ავთანდილმა თავი დაუქნია. მერე თემურმაც ამოიღო ჯიბიდან ფარგლები და რაღაც-რაღაცები.

თემურის ნაშენერები უფრო დახვე-წილი იყო.

— შენც მალე შეისწავლი ღითონის სუფთად დამუშავებას. შენ ხომ ჯერ მეტოვე ქლასში ხარ. დაზგა რომ გან-დეს, ესეც დიდი ამბავია.

„რობერტ მასწავლებელს ვთხოვ, უფ-რო ხშირად მამუშაოს დაზგუშე“, — გაიფიქრა ავთანდილ ბუთურიშვილმა, როცა თემურ ჭანტურიას დასცილდა.

ასე შეიძმნა ღითონის კუთხე

გივი ბაიდაური ვერც კი გეტყვით, რა-ტომ შეუყვარდა დურგლობა. მან, ჯერ კიდევ შარშან, ისეთი მშვენიერი ჭურ-ჭელი დაამსადა ხისაგან, რომ ალექსან-დრე მასწავლებელიც კი გაოცდა. ის დღე იყო და ის — მას შემდეგ გივი ხის დამშუ-შავებელი საამქროს ხშირი სტუმარი გა-ხდა.

გივის ერთხელ პიონერხელმძღვანელ-მა ციალა ბოჭორიშვილმა უთხრა:

— შენზე ამბობენ, დურგლობა ეხერ-ხება, მართალია?

გივიმ ჩაიღიმა და თავი ჩაღუნა.

— რამდენიმე თარო უნდა დაგვიმზა-დო, ღითონის ქუიხის მოსაწყობად გვჭი-რდება. მარინე ბენიძეც დაიხმარე, ყოჩა-კი გოგონაა, ფირფიცრებისაგან მშვე-ნიერ ჩუქურთმებს აკეთებს. აბა, შენ იყო.

გივის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქო-ნდა...

...

პიონერთა თოაში მეხუთეკლასელი ნოდარ ბედიანაშვილი შემოვიდა და

ღენინის წითელყდიანი ტომები მაგი-დაზე დაწყო.

ნოდარს მეოთხეკლასელი ნათელა ასა-შვილი მოპყვა, ნათელას — მზა რაზ-მაძე, და გოგონებმა ღენინის ტომები მაგიდაზე დაწყო.

— ჯერ-ჯერობით ოლია ფლიონაშვი-ლი არ ჩანს, არც ქეთინო ქრეჭაშვილი მოსულა; იქნებ, დავალება ვერ შეასრუ-ლეს და რცხვენიათ? — თქვა პიონერ-ხელმძღვანელმა.

სწორედ ამ დროს ოთახში ქეთინო და ოლია შემოვიდნენ, თან შემოიტანეს ლამაზად გაფორმებული კედლის გაზე-თი, რომელიც ღენინის ბავშვობასა და ყრმობას ასახავდა.

ოლია ისევ გარეთ გავიდა. მალე, ნინო წიკლაურთან ერთად დაბრუნდა. გოგო-ნებს ყვავილების ქოთნები მოპერნდათ. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ, ნა-თელა გოგოჭურმა ყვავილები მოიტანა.

— ეს „ცოცხალმშობები“ და „ბეგიო-ნები“ ნორჩ მეყვავილეთა წრემ გვაჩუ-ქა, — თქვა ნათელამ.

ერთი კვირის შემდეგ გივი ბაიდაურ-მა და მარინე ბენიძემ ხუთი მშვენიერი თარო მოიტანეს. ღენინის ტომებმა იმ თაროებზე გადაინაცვლეს.

ასე შეიქმნა სკოლაში ღენინის კუთ-ხე.

* * *

ზღვა ხალხს მოეყარა თავი გარდაბნის სტადიონზე. სამგორის საშუალო სკო-ლის ნაკრები გუნდი კოჯრის საშუალო სკოლის ნაკრებს ხვდებოდა.

ვალოდია გაბათაშვილმა ისეთი ბურ-თი გაიტანა, რომ დიდხანს არც მას დაა-ვიწყდება და არც კოჯრელ მეგარეს...

სამგორელი მოსწავლე ფეხბურთელე-ბი შემდეგ ლილოელებს შეხვდნენ და ეს მატჩიც მოიგეს. ბოლოს გარდაბნელებიც დაამარცხეს და თას მოიპოვეს.

ფეხბურთელებს არც მძლოოსნები, გა-ლათბურთელები და ფრენბურთელები ჩამორჩნენ. გარდაბნის რაიონის მოსწავ-ლეთა სპარტაკიადაზე სამგორელებმა პირველი ადგილი არავის არ დაუთმეს.

რაიონის ფიზურტურისა და სპორ-ტის კომიტეტმა პირველ ადგილზე გამო-სული სამგორელი მოსწავლეები ითხი თასითა და ოთხი სამახსოვრო აღმით დააჯილდოვა.

* * *

ასე ცხოვრობენ, სწავლობენ და შრო-მობენ სამგორელი პიონერები.

თამაზ შათირიშვილი
ფოტო დავით იაკობაშვილისა

გოვთი: უოფაქცია — ის არის სარკე, რომელშიც უოველი კაცის სახე ჩანს.

ა. დიუშა (შვილი): ვალის მხედა ზოგჯერ ნაშდვილი ტანჯ-ვაა; სამაგიეროდ, უფრო მეტი რანჯვაა — ვალის მოუხდელობა.

კონცერტი: კეთილშობილი ადა-მიანი პირდაპირი და ურყევია, მაგრამ არა — ჭიუტი.

ლეონარდო და ვინი: ბედ-ნიერებას აღწევს იგი, ვინც ბევრს შრომობს.


კ. მარქსი და ც. ენგელსი: მხოლოდ კოლექტივში შეუძლია პიროვნებას თავისი ნიჭის უოველ-მხრივ განვითარება. და, მაშასა-დაცე, მხოლოდ კოლექტივშიც შე-საძლებელი პირადი თავისუფლე-ბა.

6. სახტოობები: ჩემი ოცნება, უცელაზე ფანტასტურიც კი, უ-ველთვის ცხოვრებისეულია, მი-წიერია. არასოდეს არ ვაცნებობ შეუძლებელზე.

კ. პავლენერი: მაშაცობა — ბოლომდე შეგნებული პასუხის-გებლობა.

ბ. რადიშჩევი: კეშარიატი ადამიანი და მამულიშვილი ერთი და იგივეა.

ლ. ტოლსტოი: არ არის ისე-თი მდგომარეობა, და არ არის ისეთი უმნიშვნელო საქმე, რო-მელშიც არ შეიძლებოდეს სიბრ-ძნის გამოჩენა.



ჩ ვ ე ც ი

ა ც ი მ ი ს ი

ე ე კ უ კ უ კ ი

ცნობილ ქართველ მწერალს, ბავშვთა გულების მესაიდუმლეს ოოდიონ ქორქიას დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

რ. ქორქია ორმოცი წლის მანძილზე პირნათლად ემსახურება ჩვენი ნორჩი თაობის ზნეობრივ-პედაგოგიური აღზრდის საქ-

ხეს. მისი ცნობილი ნაწარმოებები: «მარილის აკვანი», «სამი ბიჭის ამბავი», «ჩვენ სამშობლომ გამოგვგზავნა», «გრიგალი», «კოლხეთის გულში», «ოჯახის ბურჯი», «მწვანე კარავი» და სხვ. დიდი პოპულარობით სარგებლი, ბენ ჩვენს მკითხველებში.

მისი ბიესები: «სირმიანი ხალათი», «მომავლის გზა», «მართალი კაცი», «გურამიშვილი» და «უტუ მიქავა» ქართულ სცენაზე წარმატებით იღვებოდა.

რ. ქორქიამ ქართულ ენაზე თარგმნა: ნ. ოსტროვსკის «როგორ იწრთობოდა ფოლდადი», ა. გაიდარის «სკოლა», ალ. ტოლსტოის «პური», ნ. გოლუბევას «ურჯუმელი ყმაწვილი» და სხვ.

რ. ქორქიამ დიდი ამაგი დასდო ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეს. მწერლის ნაწარმოებები ჩვენს ახალგაზრდობას უნერგავს სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულსა და თავდადებას, გმირობასა და ვაჟკაცობას, ჩვენი დიადი ქვეყნის ერთგულებას.

დვაწლმოსილი მწერალი წლების განმავლობაში ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ამიტომაა, რომ მკითხველები მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ ოოდიონ ქორქიას დაბადების 70 წლისთავს და უსურვებენ მას კვლავ ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას.

მკითხველი კვლავ მრავალ და მრავალ საინტერესო, მაღალმხატვრულ ნაწარმოებს მოელის ამაგდარი მწერლისაგან.

გ. გოგიაზვილი

¶

აზარში წავედი, ერთი ფერმიხდილი, დაგლეჭილ ტანსაცმლიანი, ფეხშიშველი, 7-8 წლის ბიჭუნა შემომეგება, ზურგვე ვეება გოდორი ეკიდა.

— მუშა არ გინდათ? — შემეცითხა იგი.

მე ბევრი სანოვაგის ყიდვას არ ვფიქრობდი და უარი ვუთხარი.

მართალი რომ გითხრათ, არ მინდოდა ბავშვს ჩემი ტვირთი ეთრია, მაგრამ მან მაინც თავისი გაიტანა.

— ბევრს არ გამოგართმევ, ძია, ხუთი ყურუშიც რომ მომცე, იმაზედაც უაბულს ვარ. დღეს იღბალი არა მაქვს: პატარა ხარო, — მეუბნებიან, არავინ არ მატანს ტვირთს.

შემებრალა. ჯიბიდან ხუთი ყურუში ამოვიდე და გავუწოდე:

— აიღე!

გადაირვებულმა ბიჭუნამ ამაყად შემომხედა და მითხრა:

— ჯერ ტვირთს წაგილებ და გასამრჩელო მერე იყოს.

— აიღე, აიღე, — ამას ისე გაძლევ, გამომართვი.

ბიჭუნა ისევ თვალებში შემომაჩერდა, მერე სახეზე და კისერზე ქინქლი ერთბაშად აებურძგლა და მოულოდნელად მიიპასუხა:

— მე მათხოვარი კი არა ვარ. ტვირთი ჯერ არ მიმიტანია და ფული რატომ უნდა გამოგართვა?

— ჩემს სახლამდე შორია, რაც ბაზარზე უნდა ვიყიდო — ბევრი არ იქნება, მე თვითონ წავილებ.

ბიჭი არ მომეშვა... მეტი რა გზა მქონდა, — დავეთანხმე:

— კარგი აბა, წამოდი, — ვუთხარი ბიჭუნას და მასლათი გავუბი...

ბაზარში დიდხანს არ გვივლია. გოდორი ნაყიდი სანოვაგით ნახევრამდეც ვერ მოვყარეთ და შინისკენ გზას გავუდექით.

ბიჭუნა მარჯვენა მხარეს მომყვებოდა, თავი მაღლა ჭქონდა აწეული, დიდ შენობებს, მაღალ ხეებსა და თოვლით დაფარულ მთებს გაჰყურებდა.

მცირე ხნის შემდეგ ვკითხე:

— რა გქვია?

ვახრი ერდინჩი

თანამედროვე თურქი
ძროგრესული მწერალი

ნახატი


გელა გერმენიშვილისა

ვაშინვე სხაპა-სხუპით მიიპასუხა:

— რუსტემი მქვია, კიზილგახამაშის მახლობელი სოფლიდან ვარ.. ცხრა წლისა ვარ. ერთი წელია, რაც დედა მომიკვდა. სოფელში მხოლოდ ბიძა მყავს, მაგრამ იმისგანაც სარტა არა მაქვს... და აი, ანკარაში ჩამოვედი.

— მე მაგას არ გეკითხები.

— ვიცი, — მიიპასუხა, — მაგრამ ისიც ვიცი — მერე შემზითხები; არ ჭობს, ერთბაშად გითხრა ყველაფერი ვიგრძენი, რომ ამ ბავშვთან საუბარი ადვილი არ იყო.



ვახრი
ერდინჩი

უკველ მის სიტყვაში გამოცდილი ადამიანის სულისკვე-
თება გამოსჭიოდა; როგორც კი გავჩერდი, მან განაგრძო:

— უკველა მექითხება, უკველას ვპასუხობ... არავისაგან
სარგებელი არა მაქვს... მაგრამ, რაც არი, არი. კიდევ
სუთი-ექვსი წელი უნდა გავძლო.

— მერე რას იზამ?

უცბად თავის ასწია, სახეში შემომხედა და სერიოზუ-
ლად შემექითხა:

— შენ პოლიციელი არა ხარ?

— არა ვარ.

— ციხეს გადავწვავ!

— რატომ?

— მამაჩერი იქ და იმას დავიხსნი.

თავი ძლივს შევიყავე, რომ არ გამცინებოდა. ცოტა
ხანს ხმის ამოულებლად მივდიოდით. მერე შევეკითხებ:

— რისთვის დაპატიმრეს მამაშენი?

— უანდარმებს წინააღმდევობა გაუწია. ერთი მათგანი
შუა სოფელში გააგორა. კარგი მონადირეა მამაჩერი. პირ-
დაპირ შუბლში დაახალა. თვრამეტი წელიწადი მიუსა-
ჭეს. ჯერ ორი წელიწადიც კი არ არის, რაც ციხეშია...

— რატომ გაუწია წინააღმდევობა უანდარმებს?

— გადასახადების გულისითვის; მამამ უთხრა, უული
არა მაქვსო. საბანს, ქვაბს და ფარაჭას გვარომევდნენ
უულის მაგივრად. მაშინ მამამ შესძახა: „წაიღეთ საბანი“
და ესროლა. „ეს ქვაბი“, — შესძახა და ჩახმახი დასხლი-
ტა; „ესეც ფარაჭა“, და კიდევ ერთხელ ესროლა. ერთი
უანდარმი შუა გზაზე გაიშელართა.

ჩვენ უკვე სახლს უუახლოვდებოდით. მე პატარა რუს-
ტების შევცურებდი და ველოდი, კიდევ რას იტყოდა.
რუსტემმა ეს იგრძნო.

— ასე ნუ მიუურებ, ძია, რა ვუყოთ, რომ ჩვენ ლა-
რიბები ვართ...

რუსტემის გულში ჩახუტება მომინდა... ნიკაპზე ხე-
ლი მოვკიდე და ერთხანს ისევ სახეში შევცურებდი.

— რუსტემ, — ვუთხარი, — ანკარაში, მთელ თურქეთ-
ში შენისთანა ათასობით ბავშვია, უკველას უმანკო შუბლი
და წმინდა სახე აქვს, ნება მომეცი, გაკოცო.

რუსტემმა ოდნავ ჩაიცინა.

— თავი დამანებე, ეფენდი ბიძია, ციება მჭირს და
გადაგედება.

— ციება გადამდები არ არის.

— გადამდებია, გადამდები. მეც დედაჩემისაგან გადა-
მედო. ოჲ, რა საძაგელი ციება მაქვს! როცა შემომიტევს,
კბილებს ყარყატის ნისკარტივით მაცემინებს.

რუსტემმა ისე გაიღიმა, თითქოს არავითარი დარდი
არა ჰქონდა. მისმა ასეთმა ქცევამ გამამხნევა:

— რუსტემ, მამაშენის სანახავად დადიხარ ხოლმე?

— კვირაობით დავდივარ, — მიპასუხა, — სიგარეტები
მიმაქვს. რაც უფრო მეტ ყურუშს მოვაგროვებ, მით უფ-

რო მეტი სიგარეტი მიმაქვს. გასულ კვირის სამუშაო ბევ-
რი მქონდა და ორი შეკრულ სიგარეტი მივუტანე.

შინ მივედით. სამზარეულოდან საჭმლის სუნი გამო-
დიოდა. ჩემი მეულე სუფრის გაწყობით იყო გარ-
თული. რუსტემს ტვირთი ჩამოვალებინე და გოლორი
დავცალე. ბიჭუნას ათი ყურუში გავუწოდე.

— გზა შორი არ იყო და ტვირთი მსუბუქია, — მით-
ხრა მან, ხუთი ყურუში გამომიბრუნა და დასძინა:

— მათხოვარი კი არა ვარ.

შემეშინდა, ყვირილი არ დაეწყო, და გამოწვდილი
ხუთი ყურუში გამოვართვი.

წასვლა დაპირა. მხარზე ხელი დავადე და ვთხოვე:

— დარჩი, ერთად ვისადილოთ.

— როგორ შეიძლება, დღეს კვირაა, კიდევ ორი-სამი
გზა უნდა გავაკეთო.

ჩემმა ცოლმაც სთხოვა დარჩენილიყო, მაგრამ ამაოდ:

— ასეთი, ბამბასავით თეთრი სუფრა საჩემო არ არის,
თანაც, ჭამის ძროს ჩანგლის ხმარებაც არ ვიცი.

ის იყო რუსტემი წასასვლელად მოემზადა, რომ ვუთ-
ხარი:

— რუსტემ, შენ კარგი ბავშვი ხარ, მაგრამ... რაც ჩა-
გივიქრებია, არ მომეწონა.

— რა ჩამიუქიქრებია?

— რომელი ციხე უნდა დასწვა?

რუსტემმა ჩაიცინა:

— ეეე, ძია, უბრალო რამე ვერ გაიგე? მე ეს მამაჩე-
მის გასამნევებლადა ვთქვი, ერთხელ რკინის ბაღესთან
მომდგარ მამაჩემს ვუთხარი ასე... თან იცინა, თან იტირა.

მეც ცრემლები მომადგა თვალებზე. კარალიდან ორი
შეკრულა სიგარეტი გამოვილე, რუსტემს გავუწოდე და
ვუთხარი:

— ამას მამაშენს ვუგზავნი. ამ კვირის რომ მიხვალ,
ჩემგანაც მოკითხვა გადაეცი.

რუსტემმა სიგარეტები გამომართვა, ტიტველ მკერდ-
ზე მიიხურა და გულუბრუვილოდ შემექითხა:

— ბიძია, შენ ვინა ხარ?

— მამაშენს უთხარი, ერთი ბიძია იყო-თქო. ვინა
ვარ—საჭირო არ არის. გადაეცი — არ იდარდოს. ყველა
ციხე ერთ შვევნერ დღეს თავისთავად გადაიწვება.

თავის წლოვანებასთან შედარებით საოცრად მოსაჭ-
რებულმა რუსტემმა შეიძლება არც კი დაიჭერა, რომ
ციხეები თავისთავად გადაიწვებინ, მაგრამ დარწმუნე-
ბული ვარ, ჩემს ნათქვამს მამას გადასცეს.

როცა კარებში გადიოდა, რუსტემმა მითხრა:

— ბიძია, შენ კარგი ადამიანი ხარ...

შერე ჩემი ხელების დაკოცნა მოიწადინა, მაგრამ ნება
არ მივეცი და შუბლზე ვაკოცე.

რუსტემი შემპირდა: თუ ძალიან მოშივდებოდა, ჩვენ-
თან მოვიდოდა...

თურქულიდან თარგმნა

80601 ჯაფარიძე

ეტაპი ნიზისასი

ნახაობი გ. გალასი

გარე კეგუსი

პრაჩულებრივი



თავდაცასაბალი

— ეშმაქმა უწყის, რას ნიშნავს ეს. მალე, ალბათ, ერთმანეთს დაკლავთ ამ სამართებლით. სამართებელი გიუების ხელში! — აბობოქრდა პითაგორა, — გაუგონარი ამბავია. მაგრამ ეს იოლად არ ჩაივლის. ყველა ამ ხელსაწყოს თქვენი კლისის ხელმძღვანელს გადავცემ... ანლა კი გასწიოთ ადგილებზე! დაფასთან გამოვა პუმეკი.

მერჩილან აიწოწა პუმეკს მეორე. გვერდით რომ ჩამიარა, მაგრად გამკრა მხარი.

— ამოხსნი მეცხრე ამოცანას, — თქვა პითაგორამ და სახელმძღვანელო მიაწოდა პუმეკს.

პუმეკმა ამოცანა გადაიყითხა, ერთ ადგილზე უმწეოდ დაიწყო ფეხების ბაყუნი და თან გაფაციცებით მიქრავდა თვალს. მე თავი მოვიყარუნე, ვითომ ვერაფერს ვერ ვამჩნევდი, მაგრამ ჩესეკმა ერთი ისეთი გამკრა იდავყი, რომ მეტი გზა ალარა მქონდა — კარნას შეულექი: ენა გამოვყავი, ვუჩენე მუშტი, სახე დავმანჭე და კბილები დავკრიტე.

პითაგორა გაოცებული მომაშტერდა; შემდეგ, თითქოს თავის თვალებს არ უჭერებსო, სათვალე გაიკეთა და კათედრილან ჩემსეკ გამოექანა.

— მორიგე პეგუს! რა გემართება? მაშინვე წამოვხტი.

— მომეცი დღიური!

მორჩილად ჩავძევები მერჩში. ტომისიკა, რომელშიაც ტიაპუსი იყო, იატაჭზე დავარდა, სასოწარევეთილი ვუყურებდი, როგორ ძვრებოდა ტომსკიდან ტიაპუსი.

— ყმაწვილო, რას ნიშნავს ყოველივე ეს? რა გემართება?

მინდოდა ყველაფერი მემბნა და ამეხსნა, მაგრამ უცწრად ვიგრძენი, რომ ფეხებზე ვილაც მიღურუნებდა. შეშინებულმა ერთ ადგილზე დავიწყე ცქმუტე, მაგრამ მაინც ვერ შევიყავე თავი და ხმამაღლა აგხარხარდი.

— ღმერთო ჩემო, დაწყენარდი!.. რა გემართება? — იმეორებდა ელდანაცემი პითაგორა.

მაგრამ მე თავს ვერ ვიკავებდი და სულ უფრო და უფრო ხმამაღლა გხარხარებდი. ტიაპუსი შიშველ წვივებს მილოკავდა, მე კი ისე მეშინია ლიტინის!.. ამაოდ ვიგერიებდი ფეხით, წყეული ლევი არც კი ფიქრობდა, თავი დაენებებინა...

— პეგუს, დამშვიდლი! აიღე წიგნები და ექიმთან წადი, — დაიყვირა პითაგორამ.

ხარხარი არ შემიწყვეტია, ისე დაფიხარე წიგნების გამოსაღებად, მაგრამ ტიაპუსმა დამასწრო. კბილებით თასმას დაეჭიდა და ჩანთა იატაჭზე გაღმოაგდო; მერჩის ქვეშ ჩავძერი, მერე დაოთხილი გავეკიდე ტიაპუსს.

— რა მოხდა? პეგუს, სადა ხარ? სად გაქრი? — გავიგონე პითაგორას ხმა.

— აქა ვარ, პან პროფესორი! — ამოვიდახე მე და კლასის მეორე ბოლოში მდგარ მერჩილან ამოვიყურებულები!

ამ ღრის ტიაპუსმა მიირბინა კათედრასთან. პითაგორას თვალები გადმოეკარკლა.

— რას ნიშნავს ყოველივე ეს? საიდან გაჩნდა აქ ეს ოთხეხსა? დაიჭირეთ! — დაიყვირა მან და კათედრისაკენ გაქანდა.

ყველანი წამოვიდნენ და ლეპს დაედევნენ დასაჟერად.

— ეს დაუშვებელია, ეს გაუგონარი ამბავია! — ბო-

ბოქტობდა პითაგორა. — დღიურში, ყველაფერს დღიურში ჩაგიწერ!

მან კალამი ჩაწო სამელნეში და იქიდან ზონარის ნაგლეზი ამოათრია.

— ეს რაღა? სად არის მელანი?

ჩესკემა მომაწოდა მელნით სავსე ბოთლი, მე გავიქეცი კათედრისაკენ, შეშინებული ტიაბუსი ფეხებში მეცა. დავეცი და გავტეხე მელნით სავსე ბოთლი.

როცა, მელანში მოთლად ამოთხვრილი, იატაკიდან ჭამოვლები, კლასში დირექტორი შემოდიოდა, უკან მას პანი იკულუსოვა მოჰყვებოდა.

— რა ხმაურია? — იყითხა დირექტორმა, — რა ხდება აյ?

— კლასში ერთი უცნაური მოსწავლეა! — უპასუხა პითაგორამ, — გავეთილი ჩამიშალა... გაუგონარი ამბავი მოხდა... პეგუს, მოუყევი ამათ, რა მოხდა კლასში.

სასოწარევეთილი, ნალექლიანი სახით მივუახლოვდი მათ. მთელი სახე მელნით მქონდა მოთხუპნული, ლოყებიდან შავი ცრემლები ჩამომდიოდა.

დირექტორმა გაოცებით შემომხედა.

— რასა გავხარ, ყმაწვილო?

პანი იკულუსოვა სასოწარევეთით იმტვრევდა ხელებს:

— მარეკ, რა მოგივიდა?

მინდოდა ყველაფერი ამეხსნა მისთვის, მეთქვა, რომ ერთი ვიყავი დამნაშავე, რომ მე ძალიან, ძალიან მიყვარდა იგი, რომ ცხოვრება არც ისე იოლი რამ არის. მინდოდა მეაბნა ყველაფერი, მაგრამ ალელვებისაგან სიტყვა ვერ დავძარი...

მარეკმა თავი ჩაქინდრა:

— აი, მთელი ისტორია. განა ყველაფერი ეს საშინელება არ არის?

— საშინელია, მარეკ, — ვუთხარი გაოგნებულმა, — ეს დაუჭირებელიც კი არის!

— ხომ გითხარით, არ დამიჯერებთ-მეთქი. — მარეკმა ამოიხხარა, მხრებზე წიგნების ზურგჩანთა გაისწორა და სახლისაკენ გასწია.

თავგარესავადი ჩასახვა

ყველაზე მთავარი

აც ჩვეულებისთვი „შათალოს“

საგარისხოებო შედეგი

აც მარეკ პიგუსის დაკარგვა

ერთი თვე იყო, მარეკი არ მენახა. გარეთ საქმაოდ და-თბა. ბავშვები მთელი დღე ქუჩაში იყვნენ, მხოლოდ მა-

რეკი არ ჩანდა. ამან დამაფიქრა კიდეც. ბოლოს, ეს იყო 10 იგნისს, ჩესკეს შევხვდი.

— მითხარი გეთაყვა, პეგუსი როგორაა? — ვკითხე მე, — რაღაც ამ ბოლო დროს არ ჩანს.

— თქვენ განა არაფერი იცით? — თვალები გადმოკარკლა ჩესკემა.

— არა, არაფერი არ ვიცი.

— უბედურება მოხდა!

— უბედურება? — შევშფოთდი, — რა უბედურება?

— ხომ გახსოვთ, რა მარცხიანი იყო?

— როგორ არა, მაგრამ შაინც მიამბე, რა მოხდა.

— მარეკი დაიკარგა.

— დაიკარგა?! რას სულელობ, როგორ შეიძლება ადამიანი უეცრად დაიკარგოს.

— დაიკარგა და რა ვქნა! — ნალვლიანად მომიგო ჩესკემა.

— მაინც, როგორ?

— არავინ არ იცის.

— მილიციას აცნობეთ?

— როგორ არა, მაგრამ აქამდე ვერაფერი გამოარკვის.

— საოცარია! აბა, ყველაფერი დაწვრილებით მიამბე.

შინ შევიყვანე. მან მართლაც საოცრად ფანტასტური ამბავი მიამბო. ეჭვი შემეპარა და მარეკის მშობლებს მივმართე.

მშობლებმა დაადასტურეს ჩესკეის ნაამბობი. უფრო მეტიც, პეგუსებმა, პან ანატოლ ფანფარამ და ცნობილმა სპორტსმენმა ალეკმა უფრო განსაცვიფრებელი ამბავი მიამბება.

იმ დღიდან მე ყურადღებით ვადევნებდი თვალს ამბის მსვლელობას. მაგრამ, მოითმინეთ! ეს გრძელი ამბავია და ყველაფერს თანმიმდევრობით მოგიყვებით.

ყველაფერი ჩვეულებრივი „შატალოთი“ დაწყო

უცნაური სუბიექტი და „პარალიტიკები“

ცხენისიფათიანი კაცი

სასწაულებრივი სასკოლო ჩანთა

ეს ამბავი დაიწყო მეტად სავალალო შემთხვევით, რომ ერთი ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე მოხდა. რასაკვირველა, ამის შესახებ შემეტლო არათერი არ მეთქვა, ჩემი და მარეკის მეგობრობის ხათრით, შაგრამ მაშინ მოხრობა დაკარგვადა თავის გამომხატველობას და, საერთოდ ბევრი რამ გაუგებარი იქნებოდა. ასე და ამგვარად, იძულებული ვარ ვალიარო, რომ იმ დღეს მარეკი გაკვეთილებიდან გაბარა. შეიძლება ეს მარეკის ბრალი არც იყო, მაგრამ ფაქტი, ბიჭი „შატალ“ დაურტყა.

ამ ფაქტს რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი, ხანგრძლივი სიცივეებისა და წვიმების შემდეგ სუცხოო ამინდი დადგა. ისეთი ამინდი, რომ უბრალოდ, შეუძლებელი იყო ოთახში ქდომა. კაცი კლასში ხარ, ფანჯარაში იყურები და შენი თავი ქალალზე დაკრული ბუზი გგონია. რაღა თქმა უნდა, ასეთი ამინდი მეტად მაცდურია; მეორეც, ამ დღეს მეოთხე გაკვეთილზე უნდა ჰქონდათ უკანასკნელი საკონტროლო წერა მათემატიკაში, მარეკი კი ამ საგანმანათლებლო სამიანი ჰქონდა და ეშიხოდა, ორიანზე არ ჩამოსულიყო; მესამეც, ბუნებისმეტყველების გაკვეთი-



ლი სუთთა პარზე ტარდებოდა. პან პროფესორმა გონ-
სკამ მოსწავლეები ლაზენკის მწვანე პარში წაიყვანა,
რათა დაკირცხება მოქმედინათ მცენარეთა და ცხოველთა
სამყაროზ.

ბავშვებმა ძებნა დაუწყეს გუგულს, რომელიც სადღაც
შორისახლო იძახდა „გუ-გუს“, სწორედ ამ დროს, ასაკ-
გადასულმა ზდებმა განაცხადა: — ეყითესოთ.

— რად უნდა შევამორთ ჩიტი, — თქვა მან, — რო-
ცა ახალი სამყაროს ქუჩაზე, ზორმალაზიაში, ერთს კი
არა, ორ გუგულს ერთად ნახავ, ერთი — გალიაშია, მე-
ორე კი — ფიტულია. და, ბოლოს და ბოლოს, რა გახდა
ასეთი ეს გუგული; მაზოვეცის ქუჩაზე რომ მააზიაა, იქ
ანკესები მიიღეს. თუ ვიქეპარებთ, იქნებ გასაბერი ნავიც
ვიშოვოთ. რომ დაკეცავ — ეს ნავი ზურგჩანთაში ეტევა;
ღმერთმანი, მართალს ვამბოძ! ერთში შევთანხმდეთ:
თვითეული ორ-ორ ზლოტს ჩამოვიდეს და ნავი ჩვენი
იქნება.

— გონსკამ რომ შეგვნიშნოს, მაშინ?

— შეგვნიშნოს რა, — ვეტეკით, რომ გზა აგვებნა.

— რომ არ დაგვიკეროს?

— მაშინ... ვეტეკით, რომ პეგუსი წყალში ჩავარდა,
ჩვენ უნდა ამოვევყანა, გავვეშრო და სახლში მივვევა-
ნა. ხომ ყველამ იცის, რა ფათერაკიანიცაა.

როგორც ყოველთვის, იდეების ნაკლებობა არ იგრძ-
ნობოდა, ღონისძიება ერთობ მაცდური და იოლად გან-
სახორციელებელი ჩანდა. და ბავშვებიც შეუდგნენ საქ-
მეს. მართალი რომ გითხრათ, მარეკს სულაც არ ეპიტ-
ნავებოდა ეს ერთობლივი ექსპედიცია. იგი ფიქრობდა:
ისეთი ფათერაკიანი ვარ, ნალდად რაიმე ხიფათში გავებ-

გებით. გარდა ამისა, მას სრულიადაც არ ჰქონდა ურ-
ვილი—ეყიდა გასაბერი ნავი, მით უმეტეს ზდებისათვის.
როგორც კი გაფიქრებდა, რომ ნავში შეიძლება აღმოჩე-
ნილიყო ისეთი ტიპის ძირისპირ, როგორიც ზდები იყო.
ტანში ერუანტელი უვლიდა. მაგრამ, როგორ გაემხილა
ეს ზდებისათვის ან ამხანაგებისათვის?! ისინი არამარტო
ვერ გაუგებდნენ ამსა, შეიძლება ლაჩრადაც კი ჩაეთვა-
ლოთ. არა, არყოთით შემთხვევაში არ შეიძლებოდა ამის
შესახებ კრინტის დაცვა, და მარეკი ხმამოუღებლივ
გაცყვა ბავშვებს.

მაგრამ მალე მარს გმო მარეკმა მწარედ ინანა. ზდებს
არ დავიწყნონდა პირის გაპარსების ამბავი, რომლის გამოც
მას კარგად მოხვდა პითაგორასაგან. რა სირცხვილი ჭამა
მაშინ! ერთი სიტყვით, მას მარეკის ჯინი სჭირდა: მარეკი
რომ დაინახა, ზდები დაიჭყანა და წამოიძახა:

— ამას აქ რა უნდა? მაგის სიფათს ვერ ვიტან. მაგას-
თან ხეირს ვერ ვნახავთ. მოწყდი აქედან, ვიღრე ცოცხა-
ლი ხარ. შეჩ ისეთი თარსი ხარ, — ხიფათი არ აგდე-
ბა.

ბავშვებს ხმა არ ამოუღიათ, რადგან ზდების ეშინო-
დათ. მხოლოდ ჩესეკი და გუესეკი მიემხრნენ მარეკს.

— თუ პეგუსი არ წამოვა, არც ჩვენ წამოვალო, —
თქვეს მათ და გვერდზე გაღვნენ.

— უთქვენოდაც იოლად გავალო! — ჩა-
იბურტყუნა ზდებმა.

მან მოელი კრასი უკან გაიყოლა. მარეკი, ჩესეკი და
გუესეკი სხვა მხარეს წავიღნენ.

— ღმერთივით ბიჭები ხართ! — თქვა მეგობრების
მხარდაჭერით გულმოცემულმა მარეკმა და ცხვირში და-
იქსუტუნა, — აუცილებელი არ არს, რომ მე გამომყ-
ვეთ, იმათთან წანით. უკეთობათ.

— ოკ, ერთი, — მხერები იიჩეჩა ჩესეკმა, — არც მინ-
დოდა იმათთან წასვლა. ზდები ტრაბახა და ბრიყვა. ახლა
ეგ მჟღლია, იმსახურ ვიხეტიალო. ველოსიპედი უწდა
ავაწყო, თორებ ხომ ხედავთ, სეზონი იწყება, ჩემი ვე-
ლოსიპედი კი მთლად დაშლილი აგდია სხვენში.

— მეც ბევრი საქმე მაქვს, — გამოეხმაურა გუესეკი,
— რა ხანა, ფირის გამომუღლება და სურათების და-
ბეჭდვა მინდოდა. სკოლიდან რომ ვძრუნდები, სააბაზიო
ყოველთვის დაკავებულია, იმიტომ რომ, ჩვენს ბინაში
ექვსი მღღმური ცხოვრობს. ერთი ბუსკადან ისე გატალა-
ხიანებული ჩიმოვიდა, — ყოველდღე ბანაობს, ამბობს
— რეგმატიზმებს შევლისო. ახლა მხოლოდ 12 საათია,
შინ არავინაა, ასე რომ, ფირსაც გამოვამუღლება და ფო-
ტოსაც დაგძეჭდავ.

ამგვარად, ვორცელის სკვერთან ისინი წავიდ-წამოვი-
დნენ. მარეკმა მარტო დარჩა და არ იცოდა, რა ეღონა.
ჯერ იფიქრა — სახლში წავალო, მაგრამ გაახსენდა, რომ
სწორედ ამ დროს პან ფანფარა ვიოლონჩელოზე ვარ-
ჯიშობდა და შინ წასვლა გადაიფიქრა. გარდა ამისა, დე-
დამ კარგად იცოდა გაკვეთილების ცხრილი და დატუქ-
სავდა, — რატომ სკოლაში არა ხარ.

არა! შინ არ წავა. მარეკმა იყიდა ნახევარი კილ
ბალი, ვორცელის სკვერის გვერდითა ხეივანში სკამე ჩა-
მოჭდა, ჩანთა მოიხსნა და ბლის ჭამას შეუდგა.
იგი იჯდა და ჭამდა. უეცრად, შენიშნა მოსწავლე, რო-
მელიც თავტუდმოგლეჭილო მორბოდა ხეივანში. ძალიან
გამხდარი და ღარიბადჩატული ბიჭი იყო, პანტურა ყუ-
რები ჰქონდა და ლიდი, შეშინებული თვალები; როცა

იმ სკამთან მიირბინა, რომელზეც მარეკი იგდა — დაღლილობისაგან სულს ძლივს ითქვამდა.

ჭურგჩანთა მოიხსნა, სკამზე მიაგდო, ქურთუკი შეიხსნა, ძუბლზე ოფლი მოიწმინდა და შვებით ამოისუნთქა. მარეკი ყურადღებით ათვალიერებდა ბიჭს და შენიშნა, რომ მას ნაადრევად დაბერებული, გაწამებული სახე ჰქონდა, თითქოს იგი ცამეტის კი არა, ორმოცისა იყო.

„რა უცნაური ყმაწვილია, — გაიფიქრა მარეკმა, — რასაკვირველია, იგი ჩვენი სკოლელი არ არის, ჩვენს სკოლელებს ყველას ვიცნობ; ის კი არა, ეს ბიჭი ჩვენი რაინონის არც ერთ სკოლაში არ უნდა სწავლობდეს, თორებ შემხვდებოდა სადმე: ან ქუჩაში, ან შეჯიბრებებზე ან საცურაო აუზში... არა, ამ ბიჭს პირველადა ვხედავ, სახელზეც არავითარი ნიშანი არა აქვს. საიდან გაჩნდა ნეტა? შერე, ჩანთაც რომ თანა აქვს? იქნებ, ჩემსავით „შატალოზეა?“

— რომელ სკოლაში სწავლობ? — ჰქითხა მარეკმა და ბლის კურკა გამოაფურთხა.

ბიჭს თითქოს არ გაუგონია შეკითხვა; ჩუმად იდგა და სახელოთი იშმენდდა კისერს.

— რა გიშივით მორბოდი, მოგდევდა ვინმე?

— არავინაც არ მომდევდა! — უხეშად უპასუხა ბიჭმა და მარეკს ამრეზით ახედ-დახედა.

— არა, მაინც რატომ მორბოდი ასე?

— რა, არ შეიძლება? — დაიღრინა ბიჭმა.

— რა გმირი ხარ! — გაიცნა მარეკმა.

— შენ, რა, ჭორფლიანო, არ მოგწონვარ?

— აბა, ერთი კიდე თქვი, მე შენ გიჩვენებ სეირს! — დირსების სკითხებში ერთობ მეგრძნობიარე მარეკმა მუშტები მოამზადა. მაგრამ გიდრე მარეკი თავის მუქა- რის შესარულებდა, უცნაური ბიჭი გველნაცმივით მოწყდა ადგილს, ელვის სისწრაფით სწვდა ჩანთას და შურდულივით გავარდა.

მარეკი გაოცდა. რა მოხდა, ნუთუ ასე შეაშინა?!

ამ დროს, ხეივანში ორი კაცი შენიშნა. ერთი ფეხდა- ფეხ მიპყვებოდა მეორეს, ორთავენი კი წელში ოდნავ მოხრილი მიდიოდნენ, მარ- ჯვენა ხელი ორივეს გაშეშე- ბული მოპერნდა. თუმცა ივნისი იყო, ორივეს ხელ- თათმანები ეცგათ.

„პარალიტიკები“, — გაიფიქრა მარეკმა და გაოცე- ბისაგან პირი გააღო. ამგვა- რი რამ თავის დღეში არ ენახა.

ამასობაში უცნაურმა ბიჭმა ხეივანს შემოურბინა და

ელდანაცემი უკანვე გაექანა. უნდოდა „პარალიტიკების უცნაური გასძრომოდა, რომ სწორედ ამ დროს გაისმა სა- შინელი წერიალი; ბიჭმა დაიყვირა. „პარალიტიკებმაც“ შეპყვირეს.

მარეკი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ამ ორ კაცს თურ- მე დიდი, გამჭვირვალე შუშა მოპერნდათ და ამიტომ მოდიოდნენ ასე უცნაურად. იმ ბიჭმაც ვერ შენიშნა შუ- შა და პირდაპირ თავით ეძეგრა. შუშა ზრიალით დაიმსხ- ვრა.

მეშუშებმა საშინელი ყვირილი ასტეხეს. ლანძღი- თა და მუქარით გამოეკიდნენ ბიჭს და თან — მილი- ცი! მილიცი! — ყვიროდნენ. ხალხი შეგროვდა.

მარეკი ადგილს ვერ პოულობდა. ბევრი ხალხი მოგ- როვდა და შიშობდა, ვინმე ნაცნობს არ დაენახა. მილი- ციას რომ საბუთების გასიხვა დაწყო, ან მოწმედ რომ წაეყვანათ? მაშინ ხომ ყველა გაიგებდა, რომ დღის 12 საათზე, იმის მაგივრად, რომ გაკვეთილზე მჯდარიყო, მა- რეკი ვორცელის სკევრში დასეირნობდა. არა, რისკის გა- წევა არ ლირდა! მარეკმა ჩანთა ზურგზე მოიგდო და ხე- ივანს გაუყვა. ყველაფერს ჯობდა, კინოში წასულიყო; ასე ხეტიალს აზრი არ ჰქონდა. მით უმეტეს, რომ ჩანთა საშინალად დამძიმებული ეჩვენებოდა. ამასთან ერთად, ჩამოცხა და გაავდრებას აპირებდა.

მარეკმა მიმოიხედა, — ნაცნობი ხომ არავინ არისო, — და შექრთა.

რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით, უცვეთელას ხშირი ბუჩქნარიდან შავსათვალიანი, მოგრძო სახის უც- ნობი დაუინებით უთვალითვალებდა.

არა, ამ სკვერში დღეს ნამდვილად რალაც უბედურება ხდებოდა. ჯერ იყო და, ის ნერვიული ბიჭი გამოჩნდა, მე- რე—მეშუშები, ახლა ეს უცნაური ტიპი მიშტერებია



ბუჩქებიდან. მარეკმა ნაბიჯს აუჩქარა, თან მალი-მალ უკან იხედებოდა.

ცხენისითათანი კაცი ბუჩქებიდან გამოვარდა. მონა-დირის ჩემებში ბრიზი ჰერნდა ჩატანებული. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და, რაცი დაოწმუნდა, რომ ხალხი მეშეუშებს შემოხვევოდა და მისთვის არ ეცალა, დაე-დევნა მარეკს. მას ისეთი გრძელი ფეხები ჰქონდა, რომ მის ერთ ნაბიჯში მარეკის სამი ნაბიჯი გამოიჭრებოდა.

მარეკს გულმა ბაგა-ბუგი დაუშეო... „ნეტავ, რა უნდა ამ ოთხთვალებას?“ მანძილი მათ შორის მცირდებოდა. რაღა დროს ფიქრი იყო, გობდა გასცლოდა იქაურობას...

მარეკმა მოუსვა, მაგრამ სულ გრძნობდა, რომ ცხენის-ითათანი კაცი ფეხდაფეხ მისდევდა, ზურგში მისი თვალები ჩივლეტდა.

და უცრად უცნობმა დაიძახა:

— ეი, ბიჭიკო, მოიცა, მოიცა! ნუ გეშინია, რას გარბი-ხარ? შენთან დიდი საქმე მაქვს.

მაგრამ მარეკი ძალიან შეშინებული იყო და, თუმცა ჩანთა ტყვიასავით აწეა მხრებზე, მაინც ისე მიკერძოდა, თითქოს ასმერტიანი დისტანციის ჩემპიონი ყოფილიყო. ბედმა გაუღიძა, — როგორც კი მიცეცისის ქუჩაზე გა-მოიდა, ტრამვაი ჩამორდგა. მარეკმა უკანმოუხედავად ვა-გონში დურთა თავი, თუმცა მის სახლამდე რაღაც სამა-სი მეტრი თუ იქნებოდა. ახლა მთავარი იყო, ამ „ოთხ-თვალებას“ როგორმე ხელიდან გასხლტომოდა.

მარეკი ვაგონში შესვლისთანავე ფანჯარას მიაწყდა, უნდოდა დაეხახა, რა დღეში იყო „ოთხთვალება“.

ი, იგი გულამოვარდნილი მორბის. სწორედ ამ დროს, კონდუქტორმა დაპკრა ზარი და ტრამვაი დაძრა. „ოთხთვალება“ ტრამვაის გამოყენდა, შეხტომა უნდო-და, მაგრამ ვერ მოასწორ. შეჩერდა და აქეთ-იქით დაი-წყო თვალების ცეცება. მარეკმა უცებით ამოისუნთქა. მას უნდოდა წინ წასულიყო, მაგრამ უცრად თვალი მოპკ-რა, — „ოთხთვალებამ“ ტაქსი გაჩერა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ტაქსი ტრამვაის დაეწია.

გაჩერება ახლოვდებოდა. მარეკმა არ იცოდა რა ეწნა, ჩამოსულიყო თუ არა? „რისი უნდა მეშინოდეს... რისი უნდა მეშინოდეს, — იმშვიდებდა თავს მარეკი, — აქ ხომ ქუჩაა. ამდენი ხალხი! აქ ხომ სკერი არ არის... აგრე, მილიციელიც დგას. სახლამდე კი სულ რაღაც ასი მეტრილაა“.

ტრამვაი გაჩერდა; მარეკი გამოვარდა და ჩქარი ნაბი-ჯით გაუშურა სახლისაკენ. უცრად, უკან მიიხედა და ურუანტელმა დაუარა; ქუჩის შეორე მხარეს მას ტაქსი მისდევდა. იღბლად სახლი აქვე იყო.

მთლად გაწითლებული, გაოფლილი შევარდა იგი სამ-ზარეულოში.

— რა დაგემართა, რას ჰგავხარ? — შეცყვირა დედამ.

ჭერ ითქმრა, დედა უცელაფერს ვუამბობდა: „შა-ტალოზე“, უცნაურ ბიჭზე, მეშეუშებზე, „ოთხთვალება-ზე“, რომელიც გამოეკიდა, — მაგრამ შეეშინდა. „შატა-ლო“ რომ არ ყოფილიყო, — კიდევ ხო! მაგრამ დედას მაინც უნდა უამბოს „შატალოზე“, — სულერთია, დედა ყველაფერს მიხვდება. არა, ეს შეუძლებელია.

— ასე ადრე რატომ დაბრუნდი?

— პანი იყულუსოვას თათბირი ჰქონდა და სამი გა-კეთილის შემდეგ გამოგვიშვა. ლაზენკიში ვიყავით ექს-კურსიაზე.

— ასე შეშინებული სახე რატომ გაქვს?

— არაფერიც, გეჩვენება... უი, ახალი ყვავილების ნახვა უნდოდა, მარეკი განფარას-თან მივიდა და გადაიხედა; ფანჯარასთან ის უცნობი იდ-გა და სათვალეს წმენდდა.

მარეკი სასწრაფოდ უკან გადმოიხარა.

— რა დაგემართა? — შეშფოთდა პანი პეგუსოვა, — ავად ხომ არა ხარ?

მოულოდნელად ზარმა დაიწყრიალა.

— დედა, არ გააღო! — დაიყვირა მარეკმა და გაოცე-ბულ დედას ჩაუქროლა, პან ფანჯარას ოთახში შევარდა.

მდგმურს 3 დროს ყოველთვის ეძინა; საბანი ახლაც მშვიდად ადიოდ-ჩადიოდა, ისმოდა მელოდიური ხერინ-ვა.

მარეკმა კარი გასაღებით დაკეტა და საკეტის ჭუჭრუ-ტანიდან გაიცვრიტა; დერეფნში ფეხისხმა გაისმა, შემ-დეგ შემოსასვლელი კარი გაილო. დედა ვიღაცას ელაპა-რავებოდა.

— მარეკ, შენთან არიან! — უცბად ხმამალლა დაიძა-ხა დედამ.

პასუხის ნაცვლად მარეკი კარადის უკან დაიმალა, — რომ რამე იყოს, ფანჯარაში გადავეტებიო.

დედამ კარის სახელური ჩამოწია.

— მარეკ, გესმის? კარს რატომ არ მიღებ? — მაგრად დაბრიხულა კარზე დედამ.

ბრახულზე გამოლევიებული პან ფანჯარა ლოგინში წამოჯდა, ყურსაცვამი მოიხსნა და მიაყურა. ბრახუნი რომ გამეორდა, ხალათი წამოისხა და თქვა:

— მობრძანდით, გეთაყვა!

ვიღაცამ კარის სახელური მაგრად ჩამოსწია.

— გასაღებით არის დაკეტილი, პან ანატოლ! — გაის-მა პანი პეგუსოვას ხმა.

პან ფანჯარამ გაოცებით ასწია წარბები. იგი მზად იყო ხატე დაეფიცა, რომ კარი გასაღებით არ დაუკე-ტია. შემდეგ ფეხი ქოშებში წაღდა და თავის კანტურით კარის გასაღებად გაემზართა.

— რა მოხდა? — იყითხა მან და ცხენისითათანი კაცის-დანახვაზე ბეცი თვალები მოჭუტა, — ვინ არის?

— ხალათის ჭიბეში დაიწყო ხელების ფათური სათვა-ლის ამოსაღებად.

ამ დროს მოხდა საოცარი რამ.

ცხენისითათანმა კაცმა ლოყაზე ხელი იტკიცა.

— იო, ონკანის დაკეტვა დამავიწყდა! — წამოიყვირა პან, მოსხლეტით შემოტრიალდა და ვიდრე ვინმე სიტყ-ვის ოქმას მოასწრებდა, — თავჭუდმოგლეჭილი გავარდა გაჩერეთ.

პანი პეგუსოვა და პან ფანჯარა დიღხანს ვერ მოვიდ-ნენ გონის.

— ი, ახირებული თუ ვინდა, ეს არის, — თქვა ბო-ლოს პანი პეგუსოვამ, — ან მოსვლა რა იყო და ან წას-ვლა! იცნობთ მას, პან ანატოლ? მე მგონი, თქვენი შე-ეშინდა.

— წესიერად არც შემიხედავს... რაღაც უელესმაგ-ვარი მასა დავინახე, — თქვა პან ფანჯარამ. — უსათვა-ლოდ როცა ვარ, ყველაფერი უელეს მაგონებს.

— გთხოვთ, მაპატიოთ, პან ანატოლ, საქმე იმაშია, რომ კარი გამოვარდა, და ვიდრე ვინმე სამოსის ნახვა, მარეკი კი ჩაიქეტა.

— მართალია, კარი გამოვარდა, და ვიდრე ვინმე სამოსის ნახვა, მარეკი სასწრაფოდ ბეცი თვალების მოჭუტვით,

მაგრამ მარეკი სადღაა?.. ოთახში არ არის.
მარეკი კარადის უქნიდან გამოვიდა.
— რატომ დაემალე იმ კაცს? რა, იცნობ?
— რას ამ ბობ, დედა!
— მას ხომ შენი ნახვა უნდოდა.
— ერთობა, შეეშალა...
— მარეკ, მართალი მითხარი, ის კაცი არასოდეს არ
გინახავს?
— ვნახე, ერთხელ.... ქუჩაში... ტაქსში ჩაჯდა და...
გამომედევნა.
— შენ გამოგედევნა?
— ლიას, ამიტომ შემეშინდა ასე... მე ხომ მას სულ
არ ვიცნობ.
— ვინ უნდა იყოს, როგორ ფიქრობ?
— არ ვიცი... ალბათ... ალბათ... გიურა ვიღაც.
— მართალია ის კაცი რაღაც უცნაურად იქცეოდა,
მაგრამ გიუს არა ჰგავდა. მას სრულად აზრიანი და, მე
ვიტყოდი, გონიერი გამოხედვა ჰქონდა, — თქვა პანი
ჰეგუსოვაძე. — ეს მე შევნიშნე, როცა მან ერთი წუთით
მოხსნა შვილი სათვალე.
— მომიტევეთ, მაგრამ იქნებ ეს საუბარი სხვა დრო-
ისთვის გადაგვედო. ახლა მე უნდა მეძინოს. — პან
ფანიარამ დარღვეთა გაიკეთა ყურსაცვამი.
პანი ჰეგუსოვა და მარეკი დერეთანში გამოვიდნენ.
ნაშუადღევს მოხდა ახალი უცნაური ამბავი. საში-
ნაო დავალების შესამოწმებლად ჩესეკი, როგორც ყო-
ველთვის, მარეკთან მოვიდა. მარეკმა ჩანთიდან რვეული
ამოილო... რვეული სრულად სუფთა იყო, მარეკს კი
კარგად ახსოვდა, რომ ჭერ კიდევ გუშინ, სკოლიდან
დაბრუნებისთანავე ამოხსნა ამოცანა.

— რა მოხდა? — იკითხა ჩესეკმა, ფერწასულ მეგო-
ბარს რომ შეხედა.

(გამორჩეული გვერდი ნოარში)



7 აშლილ ველზე, სადაც გაზაფხულობით მრა-
ვალნაირი ჭიოება ყვავილები ბიბინებს, სა-
დაც ზაფხულში დედამიწას აღმური ას-
დის, გადახრუკულა ბალახი და ქარის წამო-
ბერვაზე, იმის მაგივრად. რომ ველს მზებაბანამა გადაურბინოს,
მტკრის კორიანტელი დგება, იშვიათად, მაგრამ მაინც შეგხვ-
დებათ ეულად მდგარი, ტოტებგაშლილი ხე, მუხა ან თელა.
ბეგრი ასეთი ეულად მდგარი მუხა მინახავს, ბეგრის
ჩრდილში დაღლილს დამისევნია და თითქმის ყველგან ერთი-
და იგივე ჩურჩული მესმოდა. მაგრამ ყველა მუხა აშორის მა-
ინც ერთი მუხა, თრიალეთის მუხა მიდგას თვალწინ, იქნებ
იმიტომ, რომ მის ახლო-მახლო მთელი დღის სავალზე სხვას
ფრის ხედავს თვალი. ის მართლაც მარტო და ეულად დგას.
მდინარე ქციის სათავეებისკენ არის ერთი ნაქალაქარი, რო-
მელსაც წინათ ახალქალაქს უწოდებდნენ და, რომელიც
XV—XVII საუკუნეებში გაავერანეს დამპყრობთა უდროებმა. ეს
ნაქალაქარი, ნასოფლარ ეგანის, ახლანდელ სოფელ წალკას
ცოტა ქვემოთ, ქციის ღრმა ხევის თავზე მდებარეობს. მას პა-
ტარა მთა — ქვათაგა დასცემის. აი, სწორედ ამ მთის წვერზე
დგას ტოტებგაშლილი და
ბარაქინი ერთადერთი მუ-
ხა. აქედან წალკის უზარმა-
ზარ ზეგანს რომ გახედავ
ხეს ვერსად ვერ დაინახავ,
აქ კი უზარმაზარი, მრავალ-
ასეულ წელთა მომსწრე,
400-500 წლის მუხა ეუ-
ლად და ობლად, მაგრამ ამა-
ყად დგას და გასცემის
ძეველი ახალქალაქის, ეგანის
სოფლის ნანგრევსა და ნახარს. მას ახსოვს ის დრო, როცა ამ
ნაქალაქარსა და ნასოფლარებში სიცოცხლე დუღდა და გად-
მოდუღდა, შენდებოდა ახალი სოფლები, ტაძრები, იწერებო-
და წიგნები, ითებოდა მინდვრები, შენდებოდა ბაღები, ხალ-
ხი მომავალს შეხსაროდა. ხალხმრავალი იყო მაშინდელი თრი-
ალეთის ეს ნაწილი და არც მუხა იყო მარტო, მის ირგვლივ
ტყე იყო აქოჩილი.

ერთ შემოდგომის ცხრია დღეს მოვხვდი ამ მუხის ძირში.
ანაზდეულად დაუბერა სუსხიანმა ჩრდილოეთის ქარმა. ახმა-
ურდა მუხა, ტოტი ტოტს დაეჯახა, დაიჭახუნა, დაიკვენესა და
რაღაც საობარი სიმღერა წამილიწყო. მის ძირში მინაბულს,
ქარს მორიდებულს, ნაბადწამოსხმულს მესმოდა მისი სიმ-
ღერა:

„მრავალი საუკუნე მიცხოვრია, ბევრი ჭირი და ვარამი გა-
დამშდენა, ბეგრი თანამგზავრი გამომცლია მხრიდან, ქარსა
და ქარიშხალს, გრიგალსა და ქარაშოტს ბევრჯერ გადაუვ-
ლია ჩემს თავზე, იქნებ ტოტი შეუტეხია, მაგრამ ფეხვი კი ვერ
შეურყევია. ყდგავარ ფეხვმაგარი, ტოტებლონიერი; ომში შე-
სულ კაი ყმასავით, უკან არ ვიხვევ; ვდგავარ და ასე ვიდგები.
აი, მოვესწარ იმ დროსაც, როდესაც ნატყევარ მთებსა და გო-
რაკებს ახალი სიცოცხლის მახარობლები, წითელყელსახვევია-
ნი ბავშვები შეესივნებ და რგავენ ხეებს, ბუჩქებს. აშრიალ-
დება კვლავ ტყის ტევრი... ამ ყურადღებამ მეც მიშველა და ამ
ლოდებს შორის აღმოცენდა ჩემი ნაშიერი. იგიც მალე გაიზრ-
დება, მხარში ამომიდგება. იგრიალე, დაუბერე ქარიშხა-
ლო...“ — ისმის ტოტების ჭახაჭუხი; გრგვინვ და მუხა ყვება
თავის თავგადასავალს...



მარჯვენა მიზანის შესახებ

ჩვენი მთის ზეგნები ჯავახეთი, წალკა, ზურტაკეტი ტყით ყოფილა დაფარული. ამ ტყებს ამშვენებდნენ მთის მუხა, ფიჭვი, ნაძვი, ნეკერჩხალი, არყი, ცირცელი და სხვა. ტყითვე ყოფილა დაფარული დაბლობის ვაკენიც. ამ დაბლობის ტყე-გბში ჩვეულებრივი იყო ვაკის მუხა, ქართული მუხა, თელა, მინდვრის ნეკერჩხალი, მშრალ ადგილებში კი — საკმლის ხე, აკაკი, ქართული ნეკერჩხალი, ბერყენა და სხვანი მრავალი. ამის საბუთი მრავლად მოგვეპოვება, როგორც თვით ბუნება-ში, ისევე ჩვენს ისტორიულ წერილობით წყაროებში.

მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის შესანიშნავი მკვლევარი ვაზუშტი აი რას წერს ტაბისყურის შემოგარენში: „ტბა ტაბისყურისა არს წყალი ანგარა, სასმელად ტბი-ლი და შემრგვა, გარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახ-ყვავილოვანი, წყარიანი და კალმახითა სავსე, დიდ-წვრილითა და ფრიად გვმრიელითა“.

დღეს ტაბისყურის ახლომახლო ხე თოფის სასროლზედაც კი აღარ ჰაჭაპებს, უახლოესი ტყე თუ კილომეტრით მაინც არის დაცილებული. ნაპირი ბალახ-ყვავილოვანია, მაგრამ ისიც შეუცვლილა, ველის წარმომადგენლებს — ვაციწვერასა და წივანას შეუცვლია „ბალახ-ყვავილი“, ე. ი. ტყისა და ალპების მცენარენი, რომელსაც ვაზუშტი „ბალახ-ყვავილოვანს“ უწოდებს.

თურქებმა რომ სამხრეთ საქართველო მიიტაცეს, მათ ეს მხარე, ხარკის დასადებად, გულდასმით აღწერეს და შეადგინეს „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“. ამ დავთარ-ში ჯავახეთი თრადა გაყოფილი — ტყიან და უტყეო ჯავა-ხეთად, ამავე დროს, „ტყიან მხარეში“ თანამედროვე ჯავა-

ხეთის ნახევარშე მეტია ნავარაუდევი. დღეს კი ორივე, „ტყიანიცა“ და „უტყეოც“, სრულიად უტყეოა. მხოლოდ ალაგ-ალაგ გადარჩენილა პაწაწა კორომი, ანდა თითო-ოროლა ხე (ვერხვი, მუხა, ფიჭვი, არყი).

ასეთივე წერილობითი ცნობები გვაქვს ზემო და ქვემო ქართლის ვაკეების, გარეკახეთისა და სხვა რაიონების შესახებ. წერილობითი საბუთების გარდა, თვით ბუნებაში არსებობს მრავალი საბუთი იმისა, რომ ესა თუ ის მხარე წარსულში ტყით ყოფილა დაფარული.

ჩვენი ნიადაგმცოდნების გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ მრავალ ადგილას, იქ, სადაც დღეს ველის მცენარეა გა-ბატონებული და დიდ მანძილზე ხის ჟაჭნებაც კი აღარ არის, ნიადაგი ტყისა შემორჩენილა. გარდა ამისა, ალაგ-ალაგ ველისა და ნახევარუდაბნოს მცენარეთა შორის ზოგიერთი ტყის გამძლე მცენარეც გეხვდება, ზოგან — ცალკეული ტყის ხე და ზოგან კი — პატარა ოლეც.

ბევრგან, საქართველოშიც, სომხეთშიც, ველების არეში ტყის ცხვველების ჩრნწმები ნახეს: კვერნის, დათვის, ირმის, ფსიტისა და მისთანების.

ერთი სიტყვით, ამ უტყეო მხარეთა წარსულში ტყიანობის ბევრი საბუთი არსებობს. აყი ეს თრიალეთის მუხაც თავის სიმღერაში, ქარიშხალს რომ შეაგება, ამაზე გვიამბობს.

ყოველივე ამის ცოდნას შეუძლია თუ არა რაიმე სარგებლობის მოტანა? რასაკირველია, შეუძლია. რაკი ვიცით, სად რანაირი მცენარე ხარობდა, რანაირი ტყე იყო, ამჟამადაც შეგვიძლია შევუდგეთ ამ მხარის გატყიანებას, იქ, სადაც ეს



საჭირო, სასარგებლო და აუცილებელია. მაგრამ სად არ არის იგი საჭირო? ტყე ხომ ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ყოველ მხარეში ტყე იმ რაოდენობით უნდა შევინარჩუნოთ, რამდენადაც საჭიროა ბუნების პარმონიულობის დასაცავად.

დუღილს იზვევს... ყინული

ბევრმა ალბათ არც იცის, რომ ყინულს შეუძლია გამოიწვიოს წყლის დუღილის განახლება. როგორ? — გაიოცებენ ზოგიერთები, მაგრამ, რომ ეს მართლაც ასეა, უმაღვე დარწმუნდებიან, თუ ჩატარებენ ცდას. ცდისათვის კი საჭიროა ავილოთ კოლბა, ნახევრამდე წყლით ავავსოთ და ნავთქურაზე დავდგათ. როცა წყალი დუღილს დაიწყებს, კოლბას მჭიდროდ დაცუციოთ თავი, — დუღილი შეწყდება. შემდეგ, ავი-

ლოთ და კოლბა თავდაყირა დავაყენოთ, ჰედ ყინულის პატარა ნატეხი დავადოთ. დავინახავთ, რომ დუღილი განახლდება, თუმცა წყლის ტემპერატურა გაცილებით დაბალი იქნება. რატომ? იმიტომ, რომ ყინული კოლბაში მყოფ ირთქლს გააცივებს, აქცევს წყლის წვეთებად, მოხდება კონდენსაცია, კოლბაში წნევა შემცირდება და წყალი დუღილს განახლდებს. თუ ფსკერს ყინულს მოვაცილებთ, — დუღილი შეწყდება. დუღილი არ განახლდება თუ კო-

ბევრჯერ ამივლია წალკა-ჯავახეთის გზაზე და შორიდან დამინახავს წერტილივით მთის წვერზე რაღაც ხე, მაგრამ საქმე ისე მიდიოდა, რომ იმ ხესთან ახლო მისი პირველი დანახვიდან მხოლოდ მეოცე წელს მივედი. მივედი და გული სინანულითაც აიგოს და სიხარულითაც. ძელი, დიდი ხნის უნახავი მეგობარივით დავუკარი თავი, ქუდი მოვუხადე და გამარჯვება გუსურვე. დიდი გზა აქეს გამოვლილი და დღეს თუ კიდევ ცოცხალია, თითქოს იმისათვის, რომ გვითხრას:

„მას ნუღარ ესტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა,
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...“

მართლაც, უწყალო ხელით დაინთქა ამ მუხის ირგვლივ მოშრალე ტყე; წარსულში მტერთა შშირი შემოსევა ცოტა ზიანს როდი აყენებდა ამ ტყეებს!

ზაფხულში დამპყრობთა ურდოები ჯავახეთ-წალკა-თრიალეთის გზით მოღიოდნენ (რემათა საკვები აქ უხვად იყო). გზადაგზა მტერი ანადგურებდა ყოველივეს, რაც სამშობლოს დამცველთ თავშესაფარად გამოადგებოდათ. ერთხელ ხომ არ წამოსულა საქართველოშე მტერი და „გასტესს ქასაცა მაგარსა წყალი წვეთ-წვეთად მდინარი!“ — გატყდა ტყეც, მით უმეტეს, ბუნების პირობების ცვალებადობა, სინესტის შემცირება, ამას ხელს უწყობდა; ხალხიც, ხშირად ომებით წელში გაწყვეტილი, სათანადოდ ვერ უვლიდა, უთავმოლოდ ჩეხდა, აახოვებდა, საქონელს აძოვებდა... და ტყე შეცვალა ველმა, ზოგან კი ნახევარუდაბნომ...

დღეს ჩემს თრიალეთის მუხას უხარია, რომ ჩემი ახალგაზრდობა მთა-ბარს შეესია და რგავნ ხეებს: მუხასა და წიფელს, ფიჭვსა და ნაძეს, აკაკის და საკმლის ხეებს, თელასა და ნეკერჩხალს და მრავალს სხვას. სწორედ წარსულის ამ იშვიათი მოწმეების წაქუშებითაცაა, რომ ირგვება ხეები, შენდება ტყეები.

„დარეთ, ახარეთ, გაიზრდებიან, ტყედ გადაიქცევიან, აქ წინათაც ხომ იყო ტყე!..“

ქარი ჩამდგარა, მუხა ოდნავდა შრიალებს. ქარტეხილმა ვერც ახლა დააკლო რა და, დროა, მეც გავუდგე ჩემს გზას.

ფოთო აპორისა

ლბას გახურებულ უთოს დავადებთ. რატომ? იმიტომ, რომ კოლბაში წნევა გაიზრდება. ხოლო თუ უთოს ნაცვლად ისევ ყინულის ნატეხს დავადებთ, — დუღილი კვლავ განახლდება, ფიზიკის ამ კანონს დიდი გამოყენება აქვს ტექნიკაში. მაგალითად, როცა შაქრის ხსნარიდან ზედმეტი წყლის აორთქლებაა საჭირო. ხსნარს ადუღებენ ატმოსფეროზე დაბალი წნევის ქვეშ, ამ დროს დუღილის ტემპერატურა დაბლა იწევს და შაქრი ქვაბზე მიწვით არ ზიანდება.

გ. გადევანიშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული
მასწავლებელი.

შარლ დე ბონი

(დაგადმის 400 წლითავი)

თარგმანი
გერმანული

მტკრიანი შარაგზა. მოჩარდახულ, დიდ ფორნებს მოხეტიალე მსახიობები მიჰყებიან. მათ წარმოდგენები უნდა გამართონ სტრეტფორდში, უნდა დადგან მისტერიები და მირაკლები, ხალხური ფარსები და სისხლიანი ტრაგედიები. სტრეტფორდისაკენ მიდიან მოხეტიალე მომღერლები, მიდიან ვაჭრებიც, არის-ტორატებიც, სტუდენტებიც...

სტრეტფორდიდან 10 კილომეტრზე დადგებარებოს ქალაქი უორიკი — უძველესი, ლეგენდარული ციხე-კოშკებით; მახლობლადევა ქალაქი კენილურორთი. ერთხელ ელისაბედ დედოფლალმა ინახულა კენილურორთის ცახე-კოშკი; სტუმრად ჩასულ დედოფლალს გრაფმა ლესტერია ფანტასტური ზეიმით გამართა, — ეს დღე დღესასწაულად იქცა. აქ მოდიოდნენ ახლო-მახლო ქალაქებიდან, მოდიოდნდ დიდი და პატარა, მოხუცი და ახალ-გაზრდა.

აი აქ, ინგლისის სამეფოს შუაგულში, უორიკის საგრაფოს პატარა ქალაქ სტრეტფორდში, აყვავებული ბაღნარებისა და უღრანი ტყების სამყაროში, მდინარე ეივონის პირას, 1564 წლის 23 აპრილს დაიბადა ბუნებისა და ადამიანის სულის დიდი მესაიდუმლე უილიამ შექსპირი. სწორედ ამ წლის რომში გარდაიცვალა იტალიური აღორძინების უდიდესი მხატვარი, სიქსტეს ფრესკების შემქმნელი მიქელანჯელო ბუანაროტი.

შეიდი წლის შექსპირი სტრეტფორდის „გრამატიკის“ სკოლაში სწავლობდა. ამბობენ, თითქოს სკოლის დამთავრების შემდეგ ერთ ხანს მასწავლებლობდა. თერამეტი წლისას ცოლად შეურთავს მეზობელი მიწათმებლობელის ასული, მასზე რვა წლით უფროსი, ანა პეტერი. რამდენიმე წლის შემდევ უილიამ შექსპირი ლონდონში მიდის სამშაოს საძებნელად.

ვინ იცის, იქნებ შექსპირი საგასტროლოდ ჩამოსულ ლონდონის მსახიობთა დასს გაცყა. ამბობენ, რომ უილიამი პირველად ლონდონის თეატრში მოსულ ჯენტლმენთა ცხენებს დარაჯობდათ; ზოგის თქმით, მის მოვალეობა იყო მსახიობთა გამოძახება სცენაზე, ზოგი — რეჟისორის თანაშემწედ აცხადებს მას, ზოგი — მოკარნახედ, შემდევ იგი უკვე მონაწილეობას იღებს წარმოდგენებში.

წარმოიდგინეთ იმდროინდელი ლონდონის ყველაზე დიდი თეატრის — „გლობუსის“ სადარბაზო შესავლელი. შენობის თავზე დგას ჰერკულესის მძლავრი ფიგურა, რომელსაც მხრებით აუზიდია მრგვალი დედამიწა. ჯერ კიდევ სამი საათი აკლია წარმოდგენის დაწყებას, მაგრამ თეატრის წინ დიდი მოედანი ხალხითაა უკვე გაშედილი.


მაყურებელი დარბაზში ორ ნაწილად არის გაყიფვილი — უბრალო ხალხი პარტეში თავსდება, რჩეული კი პირდაპირ სცენაზე სხდებიან. წარმოუდგენელი ხმაური და უწესრიგობაა პარტეში: ლაზდანდორბენ, მხიარულობენ, თხილს აკანტუნებენ, ფორთოსლებსა და ვაშლებს შეექცევან, სვამენ ლუდს... ზოგიერთი დილითვე მოსულა, თან სადილი მოუტანია. გამუდმებით გაისმის შეძაბლები, ადგილისათვის ატებილი ჩხუბი ხშირად მუშტი-კრიკით მთავრდება.

აი, მგონი, მაღვე დაიწყება სპექტაკლი. სცენის მუშას აგანსცენაზე გამოაქვს ფიცარი და ფარდაზე ამაგრებს; ფიცარზე წარწერაა: „ვენეცია“, — ახლა მაყურებელმა უკვე იცის, რომ მოქმედება ვენეციაში ხდება. კედელზე აკრავენ შავ, კვადრატულ მუყაოს, რომელზედც ჯვარედინად არის გაკრული ვიწრო თეატრი ქაღალდი, ეს — ფანჯარაა; მაშასადამე, მოქმედება ხდება ოთახში. სცენის უკანა კედელთან ამაღლებული ადგილია, რომელსაც ფარდა აქვს გადაფარებული; ეს არის მთები, აივანი, გებბანი, სახორის სახურავი, — გააჩნია, როდის რა უნდა წარმოიდგინო.

აქეთ-იქით მუყაოს ბუტაფორებია. ერთზე დახატულია ხე, — ესე იგი, ტქე ან ბაღი უნდა წარმოიდგინო; მეორე მუყაოზე ჯვარი ან საფლავის ქვაა, ეს — სასაფლაოა.

როგორც კი დაიწყებოდა მოქმედება, ხმაური და ჩხუბი იმწამსვე წყდებოდა, ხალხი სმენად იყო ქცეული. მაყურებელი მხოლოდ გასართობად როდი მოდიოდა თეატრში; თეატრი იყო ხალხის შეკრების ადგილი, ერთგვარი კლუბი, სადაც ყალიბდებოდა საზოგადოებრივი აზრი.

აი, რა დახვდა ლონდონში ჩამოსვლისას შექსპირს.



ლონდონში შექსპირი დაუახლოვდა თეატრ „გლობუსის“ პატრონს და გამოჩენილ მსახიობს — რიჩარდ ბერბეჯს. ამბობენ, რომ შექსპირი მაინც და მაინც კარგი მსახიობი ვერ ყოფილა.

ლონდონში შექმნა შექსპირმა სწორუპოვარი ტრაგედიები და სიცოცხლით სავსე კომედიები.

1612 წელს შექსპირი ბრუნდება მშობლიურ ქალაქ სტრეტფორდში, სადაც წყნარად და უშვილოველად ატარებს სიცოცხლის უკანასკნელ წლებს.

1616 წლის 23 აპრილს უილიამ შექსპირი გარდაიცვალა; გარდაიცვალა სწორედ იმ დღეს, როდესაც 52 წელი შეუსრულდა. ამავე წელს გარდაიცვალა დიდი ესპანელი მწერალი, აღორძინების ეპოქის მეორე გენიოსი მიგელ დე სერვანტესი.

შექსპირი დიდი პუბლიცისტი, დიდი მთაზროვნები და დიდი პოეტია. სწორედ დიდმა პოეტურობამ, უღრმესმა სიმართლეში და ხალხურობამ მიანიჭა უკვდავება მის ტრაგედიებს, კომედიებსა და სონეტებს.

ვინ იცის, რამდენ ენაზეა თარგმნილი შექსპირის ნაწარმოებები! დასავლეთ ევროპისა თუ საბჭოთა ქვეყნის ხალხები შემობლიურ ენაზე ეცნობან შექსპირის ნაწარმოებებს. ქართულ ენაზე შექსპირის თარგმნა ბევრმა სცადა, მაგრამ შექსპირის ჭეშმარიტად მხატვრული თარგმანები ივანე მაჩიბელის უკუთვნის.

შექსპირი განსაკუთრებული მახლობელია მოწინავე კაცობრიობისათვის, რადგან მას ღრმად სწავლას კაცობრიობის დიადი მომავალი.



କ୍ଷେତ୍ରମାଳା

1. პატივს ვცემთ ყველა მშრომელს; 2. გვიყვარს ჩვენი სამშობლო; 3. გმეობრიობთ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბაგზებთან; 4. პატივს ვცემთ მშობლებს; 5. კარგად ვსწავლობთ, გვინდა, ბევრი ვიცოდეთ; 6. ჩვენი კოლექტივის ერთგულნი ვართ; 7. მამაკები ვართ და მუდამ მზადა ვართ და-გეხმართ სხვებს; 8. გმოგზაურობთ და გვიყვარს ბუნება; 9. ვიწოდობთ სხეულს; 10. გვეურს გაგხდეთ აქციის ახალგაზრდობის თავისუფალი კაგზირის ღირსეული წევრები.

აგსტრიელი პიონერების ფორმა: ცისფერი ზედატანი და მუქი ფერის ქვედატანი. პიონერები, როგორც თქვენ, წითელ ულსახვევს ატარებენ, იმ განსხვავებით, რომ ულსახვევს თეთრი ზოლი გასდევს.

აგსტრიელი პატარები გაერთიანებული არიან ორგანიზაციაში, რომელ-
საც „ქარიშხალი“ ეწოდება.



۳۶۳

ფულის შეგროვება დაიწყეს, ბავშვები, უფროსებთან ერთად, გამოლინენა ქუჩაში და მოხანლეობაში ფულს აგროვებდნენ. სამი წლის წინ, როდესაც ჩილიში მიწისძგრა მოხდა, კუბელზა ხალხმა დიღი დახმარება გაუწია დაზარალებულ ქვეყანას. ბავშვებიც არ ჩამორჩნენ უფროსებს, შეგროვეს ფული, ხურსათი, ტანხაცმელი.

დღითა-დღე იშრლებოდა „ნორჩ პატრიულთა“ რიგები. „ახალგაზრდა აჯანყებულთა ახოციაციამ,“ ფილელ კასტრის რჩევით, გადაწყვეტა პატრა კუბელი პატრიოტები პიონერთა ორგანიზაციაში გააერთიანებია.

1960 წლის 4 აპრილს ჰავანაში შეიქმნა „პიონერთა კავშირი“, რომელსაც ხათავს ჩინულგა „ახალგაზრდა აჯანყებულთა ასოციაცია“.

კუბელი პიონერები ატარებენ წითელ ბერეტებს და ორფეროვან (ციხეფერი და თეთრი) უკლაშაძეებს.

პიონერულ ორგანიზაციაში იღებენ ბავშვებს 7 წლიდან 18 წლამდე, მაგრამ ყველას კი არა, მხოლოდ იმათ, ვინც სამაგალითოა სწავლასა და შრომაში. როდესაც პიონერს 10 წელი შეუსრულდება, შეუძლია „ასოციაციის“ წევრი გახდეს; ამისათვის კი საჭიროა შეასრულოს მთელი რიგი დავალებანი. დავალების ერთ-ერთი პირობა ახეთია: ხუთჯერ უნდა ავიდეს სიერა-მაესტრიას მთავე, სადაც აჯანყების დროს იმყოფებოდა ფილელისა და მის თანამებრძოლთა შტაბი.

კუბის მთავრობაშ პიონერებს გადასცა კაპიტალისტების სასახლეები, სტალინები, თეატრები, ბაზეები...

სიერა-ზაესტრას ნოებზი შენდება მთელი ქალაქი ბაგჟებისათვის. იქ იცხოვრებს და ისწავლის 20.000 ბაზური.



უსსოფარ დროიდან
მოჰყავდათ შრომისმო-
ყვარე ეგვიპტელ გლე-
ხებს ხახვი და ნიორი.
ხახვი არა მარტო ერთ-
ერთი საყვარელი საჭ-
მელი იყო მათთვის,
არამედ წმიდათა-წმი-
და მცენარეც. ხახვის
ბოლევი ძველ ეგვიპტე-
ლებს მთვარის სიმბო-
ლოდ პქონდათ წარმო-
დგენილი, ამიტომ ქუ-
რუმები ხახვს არ ჰამ-
დნენ. ქურუმებისაგან
განსხვავებით, ეგვიპტე-
ლი გლეხებისა და მო-
ნების ღარიბულ სუფ-
რას ხახვი ყოველთვის
ამშვენებდა. ხეოფსის
პირამიდის იეროგლი-
ფებში ამოკითხეს,
რომ პირამიდის მშენე-
ბელი მონებისათვის
უყიდიათ 1600 ტალა-
ნად (ჩვენი ფულით —
ორი მილიონი მანე-
თი) ღირებული ხახვი
და ნიორი.

ରୁଗୋରୁପ ପର୍ଯ୍ୟେତ୍ତା,
ବାକ୍ସି ଲେବା ଦାନିଶ୍ଚ-
ଦାପ କ୍ଷେତ୍ରନାମ। ମହାଲୀ-
ତାଦ, ଦାଗିଲ ଧରିଲ,
ତାଵିଲି ଲିମାରତଳିଲ ଦା-
ଶମତ୍ରୁକ୍ତିପ୍ରଦଳାଦ, ଉଗିପ-
ତ୍ରେଲି ବ୍ୟେଲିଥି ବାକ୍ସି
ପ୍ରିଣା ଦା ଲୀଜ ଫ୍ରିପ୍ର-

ქართველი მუზეუმები

სამხრეთის მუზეუმი

ლობდა (გაიხსენეთ როგორ ფიცულობდნენ ხოლმე ქრისტიანები ჯვრით ან სახარებით ხელში) და, ვაი იმას, ვინც ასეთ ფიცს გატეხდა.

ძველი ბერძნები საგანგებოდ ეძებდნენ ხოლმე ხახვის დიდ ბოლქეს და, ვინც იპოვიდა, ბედნიერად თვლიდა თავს.

მხედართ მთავარი ქსენოფონტე თურმე, ხახვს ამღვწებ თვისებებს მიაწერდა და, განსაკუთრებული ბრძანებით, იგი მეომართა ყოველდღიურ ულუფაში შეატანინა.

საშუალო საუკუნეებში რაინდებს წესად პქონდათ: თუ ვაჟკაცი ჩაჩქანზე ხახვის ფურცელს მიიმაგრებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი მოწინააღმდეგეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იწვევდა.

შვეიცარიაში, 640 წელს საქსონელებზე გამარჯვების დღეს ქალი და ქაცი ახლაც ხახვის ფურცლის გვირჩვინებით იმკობს თავს.

არანაკლები პატივისცემით სარგებლობდა ნიორიც. მამლების ძიგილაობის დიდი

მოყვარული ბერძნები, მაგალითად, თავთავი-ანთი ფალავნებისთვის ძალა და შემართება რომ მოემატებინათ, შერკინების წინ მათ ნიორს აჭმევდნენ. თვითონ ნივრის სუნი კი მაინც და მაინც არ ეპიტანგებოდათ; ასე რომ არ ყოფილიყო, — ნიორნაგემებ კაცს ეკლესიაში შესვლას არ აუკრალავდნენ.

ესაანეთის მეფეს ალფონს კასტელეს კი ნაბრძანები პქონდა, ნივრით „პირამირალებული“ რაინდები მთელი თვე არ შეეშვათ სასახლეში.

ძველი ბერძნები ნიორს სასწაულმოქმედ თვისებას მიაწერდნენ, ხოლო უნგრელები, ავი სულებისაგან ოჯახი რომ დაეცვათ, თითო

ბავშვეს ლეიბქვეშ ნიორს ამოუღებდნენ ხოლმე. ჭარხალი ძველ სარსელებს უთანხმოებისა და შუღლის სიმბოლოდ პქონიათ წარმოდგენილი. თუ სპარსელს ვისიმე წყენინება სურდა, ადგებოდა და ეზოში ჭარხალს შეუგდებდა.

უცნაური ჩვევა პქონიათ საქსონელებს. ქალის სათხოვრად მისულ კაცს თუ კისელით გაუმასპინძლდებოდნენ — საქმე კარგად იყო; თუ მოხარშულ ჭარხალს მიართმევდნენ — კუდამოძუბული უნდა გამობრუნებულიყო.

გამოჩენილი ბერძნი ისტორიკოსი პლუტარქე წერს: ერთხელ კორინთელების ლაშქარი კართაგენის წინააღმდეგ სალაშქროდ მიემართებოდა. გზაზე, ოხრახუშით დატვირთული ჯორები შემოხვდათ. მორწმუნე კორინთელებმა თავი წინასწარ განწირულად ჩათვალეს და შედარებით მცირერიცხვან მოწინააღმდეგ გეს თან ბრძოლა წააგეს, ოხრახუშის ახლო ნა-

თესავს — ნიაჟერი დების მოსამართული შენობების მოსართავად და წამლების მოსამზადებლად ხმარობდნენ. კორინთული სვეტების კაბიტელებს დღესაც ამშვენებს ნიახურის ფორმის ორნამენტები, ხოლო კუნძულ სარდინიაზე ფულიც კი გამოდიოდა, რომელზედაც ნიახური იყო გამოსახული.

გივი გახარგელიძე



John

გერამ კლინიკვილი

შემოავლეს
წრეხაზი,
არ დასჭირდათ ფარგალი,
წრეში
ჩადეს
ქამრები,
გარს უვლიან გან-განით,
არის ერთი ყიფინა,
სიკილი და ხარხარი.

ვინმეს ლახტის თამაში
 არ ეგონოს ადგილი:
 თუ ვერ ნახე წრეხაზში
 შესაძვრომი
 ადგილი,
 თუ არა ხარ მოქნილი,
 თვალმარდი და ფეხმარდი,
 წრეში


თუ არ გაგორდი,
 წრეში
 თუ არ შევარდი,—
 მაშინ სიძრის ცრემლებით
 აგევსება
 თვალები,—
 კანჭებს აგიხურებენ
 მოშხულე
 ქამრებით.

ରୂପବନ୍ଧୁ ମାତ୍ରାକୁ ଦେଖିବାରେ ଏହାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା

შლაგვტუჩა შუბებით შეიარაღდებული ცხენოსანი რაინდებით ორ ჯგუფად გაიყვნენ და ერთმანეთის პირისპირ მწყრივად დაეწყვნენ. აი, მოწინააღმდეგე ჯგუფებს თითო რაინდი გამოეყო. ასპარეზობის მონაწილეებმა შუბები მოიმარჯვეს, ერთმანეთს აძგერეს და, ერთ-ერთი მოწინააღმდეგე მიწას დაენარცხა. დამფრთხალმა ცხენმა ბრძოლის გელი მიატოვა. გამარჯვებულს ტაშითა და აღტაცების შეძახილებით შეხვდნენ...

ეს იყო ძველად. ასე უჯიბრებოდნენ ერთმანეთს შუა საუკუნეების ფრანგი რაინდები. დღეს კი, ეს ძველი რაინდული შეჯიბრი-თამაზი სპორტულ ასპარეზობად გადაიქცა. თუ წინათ გულმაგარი რაინდები თავიანთ ძალას ხმელეთზე ცხენდაცხენ ဖლიდნენ, დღეს ამგვარი შეკრინება წყალზე ჩარდება.

ორი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე გუნდის ნავების
კიჩიზე კვადრატული ფორმის ფიცარხაგია მოთავსე-
ბული. ნავებში, ბასკურ თავსაბურგლიანი და წელზე
წითელქამარშემორტყმული ათ-ათი მენიჩებე ჯდე-
ბა. კიჩინებზე კი თეთრი ტილოს ტანისამოხიანი,
დრეკადი ჭოკითა და ფარით აღჭურვილი თითო სპორტ-
სმენი დგება. მენიჩებები რიტმული და ომახიანი
შეძახილებით მიაცურებენ ნავებს ერთმანეთისაკენ. კი-
ჩიზე მდგომი მოწინააღმდეგენი ფარებით იცავენ
თავს, ხოლო ჭოკებით, —ერთმანეთის წყალში ჩაგდებას
ცდილობენ. მოწინააღმდეგეთა ფარებზე შიბჯენილი
ჭოკები გადატეხამდე იღუნება, ცოტაც და, ერთ-ერთი
„რაინდი“ დგაცუნით ვარდება წყალში. დამარცხებუ-
ლის წყალში ჩავარდნა უნებლივ ხიცილს იშვევს, გა-
მარჯვებულს კი ტაშით აჯილდოვებენ.





„ტარზანი“

ლ ა
პ ი ს ი
ე კ ვ რ ი რ ი

ედგარ ბეროუში, როცა თავის სათავ-
გადასავლო რომანს წერდა, ისე ეძებდა
მთავარი გმირის სახელს, როგორც კომ-
პოზიტორი ეძებს საჭირო მელოდიას.
იგი დიდანს წვალობდა მუღლერადი მარ-
ცვლების შერწყმაზე, სანამ არ წააშედა
ორ მარცვალს: ტარ-ზან.

ბეროუშის ლიტერატურული კარიერა
უჩვეულოდ დაიწყო. იგი მუშაობდა ალ-
კომიტეტის საწინააღმდეგო საშუალე-
ბის გამომშვები ფირმის სარკვლებო გან-
ყოფილების აგენტად. სიძევირის გამო,
სოლიდური უცრალ-გაზეთების ფურც-
ლებზე სარკვლამო განცხადებების მო-
თავსება ფურმას არ შეეძლო. ამიტომ,
ფირმა, მირითადად პროვინციული გა-
მომცემლობების მომსახურებით სარგებ-
ლობდა. ხელისმომწერთა მიზიდვის მიზ-
ნით, ამ პროვინციულ უცრალ-გაზეთებ-
ში მუდმივად იბეჭდებოდა დახლართულ
სიუჟეტიანი სათავადასავლო მოთხრო-
ბები. ბეროუშმა რამდენიმე ასეთი „მოთ-
ხრობა“ წაიკითხა და გადაწყვიტა, მოე-
სინჯა თავი ამ სარჩევლზე.

მის პირველ წიგნს ერქვა „მარსის
პრინცესა“. ავტორმა იგი ალალებდზე
გაუგზავნა ერთ-ერთი პროვინციული გა-
ზეთის რედაქტორს. მალე პასუხიც მო-
ვიდა, — ხელნაწერი მიიღეს.

პონორარის მიღების შემდეგ, ბერო-
უშმა ახალი წიგნის სიუჟეტზე დაიწყო
ფიქრი. გადაწყვიტა, რომ ამჟამად მოქ-
მედების ადგილი ყოფილიყო არა მარ-
სა, არამედ დედამიწა, კერძოდ — აფრი-
კის უღრანი ტყეები. ეს გარემოება კი
უსაზღვრო გასაქანს აძლევდა მის ფან-
ტაზიას. თემა იყო მაიმუნებს შორის
აღზრდილი ადამიანის თავგადასავლი.

რაღა არ იყო ამ წიგნში! კეთილშო-
ბილი ლორდი, რომელსაც მაიმუნთა
წინამდობლი მოსტაცებს ბავშვებს; გადა-
კარგული ლორდისა და მისი მეუღლის
საძებრად ოცი წლის შემდეგ გამგზავრე-

ბული ექსპედიცია და გოგონა, რომელიც,
რასაკირველია, შეუყვარდება ტარზანს...

მიტოვებულ ქოხში ტარზანი იპოვნის
ლორდის დღიურს და გაიგებს, რომ იგი
გრეისტენის შეილია. ახლა მას შეეძლია
საყვარელი გოგონას შერთვა, მაგრამ,
გოგონას საქმრო ჰყავს. კეთილშობილი
ტარზანი უარს ამბობს თავის განზრახ-
ვაზე.

ასეთი იყო მოთხრობის დასასრული.
თუმცა მალე გამოირკვა, რომ ეს დასას-
რული კი არა, დასაწყისი იყო. გამომ-
ცემელი და მკითხველები გაგრძელებას
თხოულობდნენ. და ბეროუშიც სულ მა-
ლე აქეცენებს მეორე წიგნს, — „ტარზა-
ნის დაბრუნება კუნგლებში“. ისევ გა-
საოცარი თავგადასავალი, ისევ შეხ-
ვედრა ჯენისთან, ამ დროისათვის ჯე-
ნის საქმრო საჭირო ტაქტს „იჩენს“
და კვდება, ტარზანმა კი ლორდის ტი-
ტული მიიღო. შემდეგ — ქორწილი და
შედნიერი ფინალი.

ფინალი? სრულებითაც არა! ბეროუშ-
მა დაინახა, თუ რა უზარმაზარი წარმა-
ტებით სარგებლობდა მისი ლიტერატუ-
რული ნაწარმოები და ისევ განაგრძო
წერა ტარზანის შესახებ...

1916 წელს — მესამე წიგნი — „ტარ-
ზანის მეუღლები“; 1917 წელს — „ტარზა-
ნის შვილი“. 1918 წელს — „ტარზანი

და ოპარის განძი“; 1919 წელს — „ტარზანი ჯუნგლებში“; 1920 წელს — „და-
უმარცხებელი ტარზანი“ და ა. შ. ყო-
ველ წელს — თითო წიგნი.

ტარზანის თავგადასავალი არაჩევე-
ლებრივი წარმატებით სარგებლობდა.
მოკლე ხანში ბეროუშის წიგნები მსოფ-
ლიოს 56 ენაზე ითარგმნა! მაგრამ ეს
კიდევ არავერი — დაიწყო ტარზანის
ძლევამოსილი მსვლელობა კინოკრა-
ნებზე.

პირველი ფილმი 1918 წელს გადაი-
დეს პოლივუდში. თუმცა, მუნჯმა ტარ-
ზანმა ვერ მოახდინა ის შთაბეჭდილება,
როგორსაც ელოდნენ. მაგრამ აი, გა-
მოჩნდა ხმიფანი ფილმი და კინოთეატ-
რებში დაიქუთხა ტარზანის საბრძოლო
ყიუინაშ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ
ეს უცნაური ხმა მიღებულია ადამიანის
ყვირილის, აფთრის ხავილის, ძალის ყეფისა
და ვიოლინოს სიმის გამივანი
ხმის ერთდროული ჩაწერის შედეგად.

ედგარ ბეროუში გამდიდრდა. პოლი-
ვედის მახლობლად მან იყიდა მიწის დი-
დი ნაკვეთი და იქ აშენა დაბა ტარზან-
ვილი. მსოფლიოს ყველა კუთხიდნ მო-
დიოდნენ მდიდარი ტურისტები ტარზან-
ვილის დასათვალიერებლად. ბეროუში
შათთან სურათებს იღებდა, თუ კი დრო
პქნიდა. იგი, ხომ ყოველდღე სამუშაო
კაბინეტში ჩაბეტილი, მემანქანეს კარ-
ნახობდა თავის დღიურ ნირმას —
90.000 სიტყვას, ისე და ისევ ტარზა-
ნის შესახებ.

1950 წელს, სიკვდილმა შეწყვეტა
ყოფილი სარკვლამო აგენტის ლიტერა-
ტურული კარიერა. ბეროუშს დარჩა 57
დაბეჭდილი და 15 გამოუქეცეუნებელი
წიგნი, მხოლოდ და მხოლოდ ტარზანზე
დაწერილი.

ალ. სანაღილაშვილი

ტარზანი

მისა შილდები

რა ქნას ჩიტმა, შია, შია —
და შიმშილმა შიში სძლია, —
დააფრინდა ხარს ზედ თავზე
კენკავს, ქექავს თივას და ბზეს...

ზამთარია, — ყინავს, თოშავს,
მიწა შავად არსად მოჩანს,
დაუცურავთ თოვლი საპნად
მთებს, მინდოორ-ველს, ბაღს და
ბოსტანს.

გამოიღო ბოსლის კარი,
გამოვიდა გარეთ ხარი.
ხარს, რქებს შუა, ლამაზ თავზე
შერჩენია თივა და ბზე.

ამოიღო ნამცოხარი
და მიწაზე დაწვა ხარი...
მიაშურა ხის ტოტს ჩიტმა,
აწრიაღდა, ავიშვიშდა;
ხევა ბეღურებს გადასძახა,
აჭიკჭიკდა:

— ხა-ხა-ხა-ხა,
შეხეთ, შეხეთ, — ეს რა მოხდა,
ჩემი შიშით ხარი მოკვდა!



„მეტვილი“ კანი

კონსილიუმის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: ცხრა წლის ლენა ბლიზნივა „კითხულობდა... ხელებით! მას წინ დაულაგეს ბეჭდურტექსტებიანი, სხვადასხვა ფერის ფურცლები. გოგონა თითებით კარგად არც კი შეხებია ტექსტს, ისე გამოიცნო ასოებიცა და ქალალდის ფერიც. ბავშვს თვალი ახვეული ჰქონდა და გაუმჯობერვალი, შავი ნაჭრით.

ზოგმა ეჭვი შეიტანა, — გოგონა ალბათ ნაჭრიდან იჭყოიტება ან თვითონ ნაჭერში გადის სინათლეო. ეს

— პირველად. ხოლო მას შემდეგ, რაც ქალალდი მოათავსეს გოგონას ზურგსუკან, მან კი ისევ შეუცდომლად გამოიცნო ქალალდის ფერიცა და ასოებიც — დაეჭვებულთა რიცხვმა საგრძნობლად იქლო.


— ნუთუ მართლა „ხედავს“ კანით ხაჩკოველი გოგონა ლენა ბლიზნივა? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს გაოცებული ნევროპათოლოგები, ფსიქოთერაპევტები, ფსიატრები...

სახლის დალაგებისას ფანჯრები, სარკე და ნათურები გაწმინდე დაჭმულნული თხელი ქალალდით. კარის ამყოლები, ფანჯრის ჩარჩოები — წყლისა და ნიშადურის სპირტის ნაზავში დასველებული ჩვარით.

პარკეტი ან ლინოლიუმი რომ არ დაზიანდეს, — სკამებს ფეხებზე სადურგლო წებოთი ამოაკარი თივთიკის ან თექის ნაჭრები (ისე, რომ არ გამოჩნდეს).

მუსიკალურ ინსტრუმენტთა სპილოს ძვლით ან პლასტმასით მობირკეთებული კლავიშები რომ არ გაყვითლდეს, ისინი დრო და დრო გაწმინდე: ჯერ წყალბადის ზეფანგის, შემდეგ სპირტის სსნარით.

ნათურას სიმაღლე შეგიძლია სახელდახელოდ შეუცვალო აი ასეთი ფორმის მაგარი მავთულით (დახედე ნახატს).



კოშტი სანთელის (პარაფინის) ნამცეცები ჩაყარე ბეზინიან ბოთლში და ანჯლრიე მანამ, ვიდრე ნამცეცები არ გაიხსნება. ხსნარში დაასველე ჩვარი და ზედაპირზე წაუსვი ფეხსაცმელს, შემდეგ გააშრე და ნაკერებში ხელმეორედ წაუსვი. ფეხსაცმელი წვიმიან ამინდში წყლით აღარ გაისარითება,


მეცნიერებმა გაართულეს უფლებულენას წინ დაუდეს რამდენიმე ფეხნად დაწყობილი ქალალი, მან ისე გამოიცნო უველაზე ქვედა ფურცლის ფენა, რომ დანარჩენს არც კი შეხება. უფრო მეტიც — მან „დაიხახა“ რამდენიმე წიგნის ქვეშ ამოცებული სურათების ფერი, გადმოსცა მათი შინაარის, ოლონდ ვერ იქნა და ვერ მოახერხა ერთი საზღვარგარეთქლი აბსტრაქციონისტი მხატვრის სურათის რეპროდუქციის „წაითხეა“.

— რაღაც უცნაური ხაზებია, ვერაფერი ვერ გავუჩვი, — გაოცდალენა.

მეცნიერთა გაოცება მაშინ უნდა გენახათ, როცა ლენამ ტექსტი წაიკითხა ფეხის თითებით, მხრებით, ქუსლებით, იდაყვით...

ხეზი (წერილი თოკი), რომლითაც შენ თავს უპრავ მურაბის ქილებს, წინასწარ დაასველე. გაშრობის შემდეგ ხეზი მაგრად შემოეჭირება ქილას.

ასეთ ხერხს თუ გააკეთებ — ხეზე გასვლა არ დაგჭირდება, ისე შეაჭრი გამხმარ ტოტებს.





— გამოთქმა: „კანით ხედვა“, ცოტა არ იყოს, არამეცნიერულად ულერს, — ამბობს პროფესორი ერაბგინი. — ბევრი რამ ჭერ კიდევ ასახსნელი და დასადგენია; თუმცა ერთი რამ უკვე ცხადია: თვალახვეული ადამიანი კითხულობს და ხედავს. შესაძლოა არსებობს რაღაც ურთიერთონაცვლეობა გრძნობის სხვადასხვა ორგანოთა შორის! იგანე მიხეილის ძე სეჩენოვი წერდა, რომ შეგრძნობა ზოგიერთ შემთხვევაში ცვლის მხდველობას. უფრო მეტიც; ზოგიერთი არსება სინათლის სხივებს სხეულის ყველა უჭრედით შეიგრძნობს ხოლმე.

— ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ბლიზნოვა „ხედავს“ მთელი სხეულით?

— დიახ, ამ გოგონას შეუძლია ჭარბითხოს და დაინახოს სხეულის

ყოველი ნაწილით, — იმბობს პროფესორი.

— ჩვენც შეგვიძლია „დავინახოთ“ კანით?

— არა, ყველას არ შეუძლია... ეს განსაკუთრებული მოვლენაა.

იდამიანის კანში არის რეცეპტორები, რომლებსაც აღაგზნებს ფერი, სინათლისა და ჩრდილის თამაში და სხვ. (გავისხენოთ ქამელეონი, რომელსაც უნარი აქვს გამოიცვალოს კანის ფერი და შეეხამოს გარემოს).

„კანით მხედველობის“ საიდუმლოებას მეცნიერება სულ მაღალ გამოიცნობს.

„ნედელია“.



ყვავილები დაკრიუე დილით, სანამ ცვარი შეაშრებოდეს; წვიმაში ნუ დაკრეფ — ჩქარა დაჭრება.

იასამნის, უასმინისა და ქრიზანთემის ღეროთა ძირები დანის წვერით გახლიჩე და შიგ ასანთის ღერის ნატეხი ჩადე: ყვავილი ადვილად შეიწოვს წყალს და დიდხანს იცოცხლებს.

ყვავილებს ლარნაკში ფოთლებს ნუ ჩააყოლებ, თორემ ფოთლები დაღმება და წყალი მაღა გაფუჭდება.

ყვავილების უმრავლესობა კარგად ინახება, თუ ლარნაკში ხის ნახშირის პატარა ნატეხს ჩააგდებ. ყვავილმა რომ თავისი ფერი შეინარჩუნოს — წყალს ნიშადურის სპირტის რამდენიმე წვეთი გაურიე.

ვარდი და მიხაკი დიდხანს არ დაჭრება, თუ მოათავსებ დაშაქრულ წყალში. გეორგინებს, ქრიზანთემასა და მიხაკს კარგად ინახავს ასპირინი (ნახევარი აბი 3 ლიტრ წყალზე).

ვარდსა და მიხაკს ლარნაკში ერთად ნუ ჩადებ, ოორემ ორივე დაჭკარგავს სურნელებას. ენძელასთან ერთად არ ჩადო ია ან კესანე, — ისინი ენძელას სუსს «ვერიტანენ» და ჰქონებიან.

ერთმა კომპოზიტორმა თავისი რეერის შესახებ აზრი ჰყითხა ფრანც ლისტს.

— თქვენს თეორაში ბევრი რამ არის მშვენიერი და ახალი, — უთხრა ლისტმა.

— თქვენ ფიქრობთ, მავსტრო, რომ...

— ღლონდ. — გააწევეტინა ლისტმა. — თქვენს თეორაში რაც მშვენიერია — ძველია. რაც ახალია — არ არის მშვენიერი.

ბრაზილიაში არის ვეპელა, რომელსაც ფერი და სურნელება შოკოლადისა აქვთ.

სახლების დანიმურა პირველად ლონდონში შემოილეს. — ადრესა-ტებისათვის წერილების დროულად ჩაბარების მიზნით.

სპარსეთის შეფე კირი სახელით იცნობდა თავის ყველა ჯარის-კაცს; ხოლო თემისტოკლე პირადად იცნობდა ათენის 210.000 მცხოვრებს.

8 წლის მოცარტმა შექმნა თავისი პირველი სონატები და სიმფონიები.

17 წლის უანა დარკი ხელმძღვანელობდა ჯარებს, რომლებმაც თავისი შემოხსენეს ალყა...

19 წლის რახმანინვა შექმნა იმურა ალყა...

29 წლის ვასეპ დე გამამ გახსნა საზღვაო გზა ინდოეთში...

38 წლის სერვანტესმა დაწერა დონ-კიხოტი...



მცხოვრის „საპატიომან“

ძირმწარა, რომელსაც იმერეთში ყალიონას ეძახიან, მწერების „საპატიომოს“ წარმოადგენს.

რაშია საქმე? რატომ „აპატიმრებს“ მწერებს ძირმწარა? მიუხედავად იმისა, რომ ძირმწარას ყვავილში ბუტკოც არის და მტვრიანებიც, მისი დამტვრიანება არ ხდება, რადგან ბუტკო მტვრიანებზე ადრე მწიფდება. აქ მას „ეხმარებიან“ მწერები, რომელთაც ძირმწარა „აპატიმრებს“.

ძირმწარას ყვავილის მიღისებური ნაწილი შიგნით დაფარულია წვრილი ბუსუსებით, რომელთა ბოლოები

ევევითკენაა მიმართული. მწერი, სხვა ძირმწარასაგან წამოღებული მტვრით, მიძვრება ყვავილში. მტვერი ინსტიქტურად დინგზე გადააქვს და ბუტკოს წუწნის. როცა უკან გამოსვლას დაპირებს, მას ბუსუსები აღარ უშვებენ. დამტვერიანების შემდეგ, ბუსუსები ჭერება და მწერი თავისუფლად გამოდის გარეთ, რის შემდეგ ყვავილი ხურავს მიღწის შესასვლელს, რადგან სხვა მწერების შიგ შესვლა უკვე აღარაა საჭირო.

ძირმწარას თესლი შეიცავს ძლიერ საწამლაც—ალკოლოიდს (არის ტონილინს), რომელსაც მედიცინაში სისხლის წნევის სამკურნალო საშუალებად იყენებენ.

ელორება

ქლორელა წყალმცენარეა. მისი მრავალი შესანიშნავი თვისება ამ უკანასკნელ წლებში გახდა ცნობილი. იგი სწრაფად იზრდება და ყველა სხვა მცენარეზე უფრო ენერგიულად იმუშავებს საკვებ ცილებსა და ცხიმებს.

ქლორელა ჰერმეტულად დახურულ შენობაშიც კი გამოყოფს ყანებადს; ამ თვისების გამო, ქლორელას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს კოსმონავტებს კოსმოსში ფრენის დროს.

მეცნიერებისათვის ცნობილია 25.000 სახეობის ჭია.


ავსტრიალიასა და სამხრეთ ამერიკის ტროპიკულში არის ერთგვარი ჭია-ყელა, რომლის სიგრძე სამ მეტრს აღწევს, იწონის 680-700 გრამს. აესტრიალიაში ამ ჭიას დიგასტერს ეძახიან.



აესტრიალიერებს ეს ჭია პირველად გველი ეგონათ, მაგრამ მელბურნის მუზეუმის ზოოლოგებმა დაადგინეს, რომ იგი გველი კი არ არის, ჭიაყელას მონათესავე ჭიაა.

ან ნებაძე

წლერისლი — ამ ყოლების (ამ ყოლის განმარტება იხილე „პიონერის“ № 2-ში) შემაერთებელი, კარის ჩარჩოს ქვედა ნაწილი.



სამსახური — ამ ყოლების შემაერთებელი, კარის ჩარჩოს ზედა ნაწილი, ზღურბლის ზოპირდაპირე.

სამსახური — დიდი ანგესი.



აერექცია გაგიგონიათ თუ არა ეს ინტენსივი?

თუ გაგიგონიათ, სად გაგიგონიათ?

თუ არ გაგიგონიათ, იძლებ მათი სიცოციაზი იცით?

ველით ვასუს.

გიგანტი „განაღველია“

მექენიკური სამსახურის მიერ და მისმა ამხანაგებმა ქალაქება-რეთ, სტეპში, „რაღაც რკინები“ იძოვეს და იქვე მოგიზგიშე კოცონტში ჩაყარეს. გაისმა ძლიერი აფეთქების ხმა...

ედიტი ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს. მას წევიშე ჰქონდა ღრმა ჭრილობა, საიდანაც სისხლი სდიოდა. ამაღლ ცდილობდა ქირურგი ჭრილობიდან ნამსხრევის ამოღებას. რენგენით დაფინდა, რომ ბიჭუნას ფეხში ჩაჩინოდა ხელყუმბარის აუფეთქებელი ფალია. ოპერაცია საშიში იყო როგორც ბავშვისათვის, სუს ექიმისათვის. სამხედრო პიროტექნიკომა, კაპიტანმა დ. სამოხინმა, რომელიც ამ შემთხვევის გამო საავადმყოფოში მიიწვიეს, მოითხოვა, რომ საოპერაციო ხელსაწყოები მხოლოდ ოპერაციის დასაწყისში ეხმარათ, რადგან მოსალოდნელი იყო ლითონის შეხებას ფალია აუფეთქება.

ქირურგი ლ. ბობილევი ფრთხიად აკეთებდა ოპერაციას. აი, უკვე გამოჩენდა ფალია. ქირურგმა ინსტრუმენტები გვერდზე გადადო და თითებით დაიწყო კუნთებში ჩახლართული მავთულის ამოღება. მაღლ ფალია ხელისგულზე ჰქონდა...

ლ. ბობილევს თხუთმეტათასამდე აპერაცია აქვს გაკეთებული, ასეთი „განაღმვა“ კი პირველად მოუხდა.

უგდურების ასაცილებლად

ამიერიდან, პამბურგის სუსტად გაშუქებული ქუჩებით შინ მიმავალთ ეგალებათ, ზურგზე დაიმაგრონ ფო-



ლადის მრგვალი ფირფიტა-რეფლექტორი, რომელიც აირეკლავს ზურგის შერიდას მომავალი მანქანების შექმნას. პამბურგის პოლიცია იმედოვნებს, რომ ქუჩაში მოძრაობის ეს ახალი წესი საგრძნობლად შეამცირებს ქალაქში უბედურების შემთხვევათა რიცხვს.

უკინებები — მიზანისადამ

შევიცარიაში ახალი ემიგრანტები დასახლდნენ. ისინი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩავიდნენ იქ, რათა დაუხმარინ შევიცარიელებს მღრღნელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

შევიცარიის ნატურალისტები იმდასკვნამდე მივიღნენ, რომ ქიმიური საშუალებებით ბრძოლა მღრღნელების წინააღმდეგ არ იძლევა სასურველ შედეგს. ცნობილია, რომ



მღრღნელები ბუს „პირისჩასატება-რუნებელი“ საუზმეა და, აი, ბრძოლის ახალი მეთოდის გამოცდა წარმატები ჩატარდა საცდელ ფართობებზე. ამჟამად, ბუსის ახალდასახლებათა კოლონიები სწრაფად მჩავლდება შევიცარიის იმ აიონებში, საღაც გავრცელებულია მღრღნელები.

რეალის მსხვილი

დანიის საბავშვო ბაღების ასოციაციის დაარსების 25 წლისთვის აღნიშნავდნენ. ზეიმის ორგანიზაციონურები დიდხანს ფიქრობდნენ იმაზე, თუ რო-



გორ გამოეჩინათ თავი და შეექმნათ ასოციაციის რეკლამა. ფიქრობდნენ და „გამოიგონეს“... საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა საესტრადო გამოსვლების პროგრამაში მთავარ „ღერძად“ შეიტანეს როკ-ენ-როლი, რომელსაც ასრულებდნენ ორი წლის ბიჭუნები.

მიღი, მიღი, დაამჟარება!

მიმდინარეობს ავტომრბოლელთა ტრადიციული შეჯიბრი, რომლის ორგანიზაციონია პარაზის ერთ-ერთი გაზეთი „ლიბერასიონი“. ტრასაზეა ძეგლი მარკის ავტომობილები. ისინი ძლიერ მიღოლავენ. გულშემატკიცები კი აზარტულად ყვირიან: — „მიღი, მიღი, დაამჟარება!“

ამ შეჯიბრში პირველი ადგილი დაიკავა ავტომრბოლელმა, რომელმაც წინასწარ განსაზღვრული ტრასა — 660 მეტრი გაიარა 1 საათს, 50 წუთს და 8 წამში. შეჯიბრის სხვა მონაწილეებმა ვერ გაუძლეს ასეთ „სწრაფ“ ტემპს და ფინშტაბ უფრო ძირე შევიდნენ.

ასეთი „რბოლები“ დიდძალ მაყურებელს იზიდავს საფრანგეთში.





თამაზ მახათაძე,
ყვარლის რაიონის სოფ. აფენის საშ. სკოლის VIII კლასი.



გიორგი ხორვაშვილი,
ცხეთის რაიონის სოფ. დოესის საშ. სკოლის V კლასი.



ჩვენი უურნაღის პირველ
ნომერში დაბეჭიდი ქართული
ხადხური იგავი „შოშია“
ორასზე მეტმა ნორჩმა მხარ-
ვაჩმა დასურათა.

ნახატები განიხილა რეაქ-
ციის სამხატვრო საბჭომ.

ბევრი ნახატი მკრთაღი
იყო და დასაბეჭიდად არ გა-
მოღა.

ზოგი წიგნებიდან იყო გად-
მოხატული (კატა, შოშია).
და ამიტომ დავიწუნეთ.

ბევრი ნახატი რეაქციამ
დაგვიანებით მიიღო, ამი-
ტომ, მიუხედავად ზოგიერთი
მათგანის ღირსებისა, დაბეჭი-
ვა ვერ მოვახერხეთ.

ზარინე აბესაძე,
ქუთაისის გე-6 საშ. სკოლის VI კლასი.

